

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**პირადი არქივების
აღწერილობა**

2

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ზაზა ალექსიძე, თამარ გეგია, შალვა გლოველი,
გოჩა საითიძე, მზია სურგულაძე, ეთერ ქავთარაძე,
მიხეილ ქავთარია

ISSN 1987-5304

ISBN 978-9941-9091-9-1

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010.

**ილია აბულაძის
პირადი არქივის
აღწერილობა**

თბილისი 2010

ნიგნში წარმოდგენილია პროფესორ ილია აბულაძის პირადი საარქივო ფონდის აღწერილობა. მისი პირადი არქივი პირველად დაამუშავა და კატალოგი შეადგინა (710 ერთეული) ელისო აბრამიშვილმა. არქივის პირველი აღწერილობა (665 ერთეული) შეადგინა ელენე კელენჯერიძემ. ქართული და სომხური ტექსტები გაარჩიეს და იდენტიფიკაცია მოახდინეს ელენე ცაგარეიშვილმა და მაია რაფავამ. აღწერილობა გამოქვეყნდა ილია აბულაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში – „ილია აბულაძე – 100“, თბ., 2003.

ილია აბულაძის პირადი არქივის წინამდებარე აღწერილობა 842 ერთეულს აერთიანებს. წინარე გამოცემასთან შედარებით ფონდი შეივსო 132 ერთეულით.

შევსება მოხდა რამდენიმე საარქივო ერთეულის (ტექსტების, წერილების, ფოტოებისა და საგაზეთო სტატიების) დაშლის ხარჯზე. აღწერილობას დაემატა ახლად მოძიებული მასალა (23 ერთეული). წინამდებარე აღწერილობას დამატებითი სახით ახლავს ილია აბულაძესთან დაკავშირებული მასალა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვადასხვა საარქივო ფონდიდან (48 ერთეული).

წინამდებარე აღწერილობაზე მუშაობდნენ: **ქეთევან ხითარიშვილი** (ქართულენოვანი მასალა) და **ირმა ხოსიტაშვილი** (სომხურენოვანი მასალა).

სხვა უცხოენოვანი მასალა დაამუშავეს: **აპოლონ თაბუაშვილმა**, **ვლადიმერ კეკელიამ** და **ერეკლე შველიძემ**.

ფოტომასალა გაარჩია **ირმა ბერიძემ**.

ილია აბულაძის პირადი არქივის აღწერილობა თემატურად დაალაგა, საძიებლები და შემავჯერებელი ცხრილი დაურთო **ქეთევან ხითარიშვილმა**.

კონსულტანტი:

ეთერ ქავთარაძე

რედაქტორები:

მაია რაფავა

ელენე ცაგარეიშვილი

სარჩევი

შესავალი.....	7
I. გიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	13
ა) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება და მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.....	23
ბ) ფოტოსურათები	26
II. ზემოქმედებითი მასალები	
ა) ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებული კვლევები	31
ბ) ლექსიკონები	33
გ) ტექსტოლოგია	38
დ) გამოკვლევები	55
ე) ამონაწერები ქართული და სომხური ხელნაწერებიდან და სხვათა შრომებიდან.....	60
ვ) რეცენზიები, სიტყვები, შენიშვნები	74
ზ) მიმართვები და განცხადებები.....	80
თ) ილია აბულაძის ნაშრომთა სიები, მეცნიერული მუშაობის ანგარიშები და რეცენზიები მის ნაშრომთა შესახებ	82
III. მიმონერა	
ა) ილია აბულაძის წერილები სხვადასხვა პირთან.....	85
ბ) სხვადასხვა პირის წერილები ილია აბულაძეს	90
IV. სხვადასხვა	132

V. სხვა ფონდებში დაცული საარქივო მასალა

ილია აბულაძის შესახებ

ა) ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....	141
ბ) შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....	142
გ) მიმოწერა. ილია აბულაძის წერილები სხვადასხვა პირთან.....	144
დ) სხვადასხვა პირის წერილები ილია აბულაძეს	148

საძიებლები

პირთა საძიებელი.....	149
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	154
თემატური საძიებელი	155

ილია აბულაძის ახალი და ძველი კატალოგების

შემაჯერებელი ცხრილი	157
---------------------------	-----

შესავალი

*ადამიანის საქმიანობის ისტორია, რომელიც
მის საკუთარ ტექსტებშია აღბეჭდილი,
მნიშვნელოვანწილად უცნობი რჩება.*

მიშელ დე სერტო

ეპიგრაფად მოხმობილი სიტყვების ნაწილობრივ გაბათილებას ემსახურება ნებისმიერი არქივის წაკითხვა და მისი დამუშავება-აღწერა. ილია აბულაძის არქივი გამონაკლისი არაა.

ილია აბულაძის გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები თავიანთი ლიტერატურული და ზოგადკულტურული მნიშვნელობითა და ღირებულებით მეტყველებენ მათი ავტორის ღრმა ერუდიციაზე, კვლევადიების ბრწყინვალე პროფესიონალიზმზე და უაღრესად რაფინირებულ მეცნიერულ ეთიკაზე.

გამოქვეყნებული შრომების გარდა, ილია აბულაძის სახელს უკავშირდება დიდძალი საარქივო მასალა, მიმოწერა, სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. ყოველივე ამათ უკან დგას ილია აბულაძე – პიროვნება, მოღვაწე, მოძღვარი, კოლეგა.

* * *

ილია ვლადიმერის ძე აბულაძე დაიბადა 1901 წლის 24 ნოემბერს სოფ. ზემო საქარაში (ზესტაფონის რაიონი) პედაგოგის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1925-26 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების დარგი, 1928-29 წლებში – იმავე პედაგოგიური ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილება. უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში სწავლულ მდივნად. 1934-37 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტთან

არსებულ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1937-1942 წლებში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. 1942-1950 წლებში თსუ-სა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგედ. 1945-1951 წლებში ილია აბულაძე იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1953 წელს დაინიშნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგედ. 1959 წლიდან გარდაცვალებამდე (1968 წელს) იყო მის მიერვე დაარსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის (დღევანდელი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) დირექტორი.

1938 წელს ილია აბულაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იაკობ ცურტაველის “შუშანიკის მარტვილობა“, 1945 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში“. 1950 წელს ილია აბულაძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

* * *

ილია აბულაძის საარქივო ფონდის წინამდებარე აღწერილობა ხუთი განყოფილებისაგან შედგება:

I. ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

ა) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ბ) ფოტოსურათები.

II. შემოქმედებითი მასალა.

ა) ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებული შრომები.

ბ) ლექსიკონები, ლექსიკოლოგია.

გ) ტექსტოლოგია. ქართული ტექსტები, გადანერილი ილია აბულაძის მიერ, სომხური ტექსტები გადანერილი ილია აბულაძის მიერ, ქართულ-სომხური ტექსტები, გადანერილი ილია აბულაძის მიერ.

დ) გამოკვლევები.

ე) ამონაწერები ქართული და სომხური ხელნაწერებიდან და სხვათა შრომებიდან.

ვ) რეცენზიები, სიტყვები, შენიშვნები.

ზ) მიმართვები და განცხადებები.

თ) ილია აბულაძის ნაშრომთა სიები, მეცნიერული მუშაობის ანგარიშები, რეცენზიები მის ნაშრომთა შესახებ.

III. მიმონერა.

ა) ილია აბულაძის წერილები სხვადასხვა პირთან.

ბ) სხვადასხვა პირის წერილები ილია აბულაძეს.

IV. სხვადასხვა.

V. სხვა ფონდებში დაცული საარქივო მასალა ილია აბულაძის შესახებ.

ა) ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

ბ) შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

გ) მიმონერა.

წინამდებარე აღწერილობაში თითოეული საარქივო ერთეული გატანილია ცალკე ნომრით, მოცემულია მისი რაობა, თარიღი, ფიზიკური მდგომარეობა, პერსონალები, ტოპონიმები, ფურცელთა რაოდენობა. უცხო ენაზე დაწერილ ერთეულთან მითითებულია ენა. ქართული ენა საგანგებოდ მითითებულია მაშინ, როდესაც ერთეულს უცხოელი ავტორი წერს ქართულად, ან ერთდროულად არის ქართულ და უცხოურ ენებზე.

აღწერილობას ბოლოში ახლავს პირთა, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, თემატური საძიებელი.

აღწერილობის ბოლოში დართულია ახალი და ძველი კატალოგების შემაჯერებელი ცხრილი. ცხრილის პირველ სვეტში მითითებულია არქივის ახალი ნომრები, მეორე სვეტში – არქივის ძველი ნომრები, ხოლო მესამე სვეტში – 2003 წელს გამოცემული პირველი აღწერილობის ნომრები.

ვარსკვლავით (*) აღნიშნულია ილია აბულაძის ფონდში ჩამატებული ახალი საარქივო მასალა.

* * *

ილია აბულაძის პირად არქივში ყველაზე სრული და საყურადღებოა შემოქმედებითი მასალა. ეს მასალა მრავალპლანიანია და მოიცავს ფილოლოგიური კვლევა-ძიების სხვადასხვა ასპექტს. აქ არის ფუძემდებლური ნაშრომები თითქმის ყველა ჟანრის ქართული სასულიერო ძეგლის შესახებ, რუსთველოლოგიური ნაშრომები, პალეოგრაფიული აღბომი და მრავალი სხვა, როგორც შედეგი ილია აბულაძის თავდაუზოგავი მეცნიერული ძიებისა და შრომისა. ქართული სასულიერო მწერლო-

ბის თვალსაჩინო ძეგლების (ბიბლიოლოგიური, ასკეტურ-პატერიკული, ჰომილეტიკური, ეგზეგეტიკური) ილია აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ ტექსტებს თან ახლავს უაღრესად მნიშვნელოვანი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევები, ცალკეული შენიშვნები, რომლებიც თავიანთი წყაროთმცოდნეობითი და ლიტერატურული მნიშვნელობით ფასდაუდებელია ქართულ-ბიზანტიური და არმენოლოგიური ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. განუზომელია ილია აბულაძის წვლილი ქართული საერო მწერლობის ძეგლების („ვეფხისტყაოსანი“, „რუსუდანისი“, „ბალავარიანი“ და სხვა) პუბლიკაციისა და შესწავლის საქმეში.

ძალზე მდიდარია ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიებებისა და ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის ამსახველი მასალა. ლექსიკოლოგიური შრომები ილია აბულაძის მიერ სერიებად არის განაწილებული: ა. ძველი ქართული ენის ლექსიკიდან; ბ. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან; გ. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები; დ. ქართულიდან ნასესხები სომხური სიტყვები. ფონდში იწახება სერიების გარეშე ცალკე სტატიებად გამოქვეყნებული ნაშრომების დედნები. ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობიდან აღსანიშნავია უაღრესად სოლიდური „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ და ფუძემდებლური ნაშრომი „ქართულ-სომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“, ასევე სხვა ხასიათის ლექსიკონები.

ილია აბულაძის პირად არქივში ფართოდ არის ასახული ქართულ-სომხური ლიტერატურული კავშირების კვლევა. ეს საკითხები იყო ილია აბულაძის მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ობიექტი. სომხური ენის ბრწყინვალე ცოდნისა და სომხურ მწერლობაში იშვიათი განსწავლულობის წყალობით თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე მან შექმნა სრულიად ახალი ეტაპი ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში. ილია აბულაძემ შექმნა მთელი სერია ქართულ-სომხური ფილოლოგიური, ენათმეცნიერული და სხვა სახის შტუდიებისა: ქართული მრავალთავის სომხური წყაროები, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართულიდან სომხურად ნათარგმნი პოლემიკური ძეგლები, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში და უამრავი სხვა. არმენოლოგიისა და, ზოგადად, კავკასიოლოგიის, საერთო კავკასიური პრობლემეტიკისთვის ფასდაუდებელია ილია აბულაძის მიერ 1937 წელს გაკეთებული აღმოჩენა ალბანური ანბანისა. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა-ძიებამ და გამოქვეყნებული ნაშრომების მაღალმა მეცნიერულმა დონემ ილია აბულაძეს სამართლიანი აღიარება მოუტანა, როგორც უდიდეს არმენოლოგს.

პირად არქივში დიდი ადგილი უკავია ილია აბულაძის მიმოწერას უცხოელ მეცნიერებთან. ძალზე ფართოა ამ წერილების ადრესატთა წრე. ამ მიმოწერიდან ჩანს, თუ როგორი მრავალმხრივი იყო ილია აბულაძის ინტერესებისა და ძიებათა ჰორიზონტი. უცხოელი მეცნიერების დახმარებით იგი ცდილობდა ახლად დაარსებული ინსტიტუტისათვის შეეკრიბა სამეცნიერო ლიტერატურა, მოეპოვებინა ტექსტების მიკროფირები, ფოტოები. ცდილობდა, უცხოეთის სამეცნიერო წრეებიდან მაქსიმალურად მიეღო ახალი ინფორმაცია ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკის, ქართველოლოგიის, ბიზანტინისტიკის, არმენოლოგიის სფეროებში. იმავე წერილებიდან ირკვევა, როგორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ილია აბულაძე უცხოელ მკვლევართა შორის. მას ეკითხებოდნენ, იღებენ მისგან კონსულტაციებს, თხოვენ, მიაკვლინოს ესა თუ ის წერილობითი წყარო როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე. ამ წერილებში ილია აბულაძე ჩანს როგორც აღიარებული მეტრი.

ილია აბულაძის საარქივო ფონდის ყველაზე საინტერესო ნაწილია და, ალბათ, მხოლოდ ილია აბულაძისთვის ნიშანდობლივი პიროვნული და მეცნიერულ-ინტელექტუალური გატაცების ნაყოფი – მის მიერ ქართული და სომხური ხელნაწერებიდან იშვიათი კალიგრაფიული სინატიფით გადმონერილი ტექსტები. არქივი მოიცავს არა ერთსა და ორ ასეთ ტექსტს.

ილია აბულაძის მიერ ასეთი რუდუნებითა და ხელოვნებით გადაწუსებული ტექსტები პირდაპირი გამოვლენაა იმ განუმეორებელი ფენომენისა, რომელსაც ჰქვია – ილია აბულაძე და ხელნაწერები. თავდადება, მიზანდასახულობა, უშუალობა, უანგარობა, სიყვარული – ეს სათნოებანი ერთად იყო შენივთებული ილია აბულაძის პიროვნებაში და ეს გატაცება იყო ხელნაწერები. ხელნაწერებთან ურთიერთობამ აბსოლუტური რელიზაცია ჰპოვა ილია აბულაძის პირად ცხოვრებაში, მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, სამოქალაქო მოღვაწეობასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ძველი ქართული ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტების მოვლა და შესწავლა ილია აბულაძისათვის მომქანცველი, დროში უჩინრად გაქიმული „ჩხირკედლობა“ (მისი სიტყვაა) კი არ იყო, არამედ ცხოვრების მიზანი, საუკეთესო „გართობა“. ილია აბულაძის დამოკიდებულება ხელნაწერებთან ფანატიზმი კი არ იყო, არამედ დაუოკებელი სურვილი თანამედროვეთათვის გაეცოცხლებინა ხელნაწერებში დაუნჯებული ჩვენი დიდი ისტორია და კულტურა.

ქართული ხელნაწერების შესწავლისა და მათი მეცნიერული აღწერილობის პრინციპების მეთოდოლოგიური დამუშავება თანამედროვე არქეოგრაფიისა და ტექსტოლოგიის დონეზე – იყო ილია აბულაძის ერთი უპირველესი საზრუნავი, რაც კარგად ჩანს არქივში დაცული მასალიდან.

ილია აბულაძემ სრულად აღასრულა თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალი: უაღრესად დიდი ძალისხმევის შედეგად დაარსა ხელნაწერთა ინსტიტუტი, შექმნა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სკოლა და ახალ ეტაპზე აიყვანა ხელნაწერების დაცვისა და კვლევა-ძიების საქმე.

* * *

ილია აბულაძის პირადი აღწერილობა ასახავს მისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთიან პროცესს. მასში დაუმთავრებელ ნაშრომებთან ერთად დაცულია უკვე გამოქვეყნებული ნაშრომების დედნებიც. ამ არქივის გაცნობა საშუალებას მისცემს ქართველოლოგებსა და არმენოლოგიაში მომუშავე მეცნიერებს ახალი და ახალი კუთხით ჩასწვდნენ ილია აბულაძის მეცნიერულ შრომებში წამოჭრილ პრობლემატიკას და თავიანთ მომავალ კვლევა-ძიებაში სათანადოდ გამოიყენონ ისინი.

ხოლო ყველა დაინტერესებულ მკითხველს ამ არქივის გაცნობა ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ილია აბულაძის პიროვნებაზე, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების, ათონელი თუ გელათელი მოღვაწეების დარად, პიროვნული არსებობის სიკეთესა და მიზანს ხელნაწერებში განსხეულებული ქართული ინტელექტისა და სულიერების სამსახურში ხედავდა.

იმ ერთი ათონელი მოღვაწის მსგავსად, ვისურვებდით წინამდებარე აღწერილობა ყოფილიყოს ილია აბულაძის მოსახსენებლად „შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთათჳს, რაჲთა არა დავიწყებულ იქმნას“.

მაია რაფავა

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მოწმობა (№ 2110), გაცემული ი. აბულაძის სახელზე იმის შესახებ, რომ მოისმინა თსუ პედაგოგიკის ფაკულტეტის ენათმეცნიერების დარგის სრული კურსი.

1929 წ. 28 ივნისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ასლი, 2 ფ.

2. ამონაწერი თსუ სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ი. აბულაძისათვის კანდიდატის ხარისხის მინიჭების შესახებ.

პირი: ი. კაკაბაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, კ. კეკელიძე, ხაჭაპურიძე (თსუ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე), თავაძე (სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი), ქ. ხინთიბიძე.

1938 წ. 28 დეკემბერი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ასლი, 3 ფ.

3. ი. გიგინეიშვილის იუმორისტული ლექსი მიძღვნილი ილია აბულაძისადმი.

[1938 წ.], ნაბეჭდი, ასლი, 5 ფ.

4. ი. აბულაძის შრომის წიგნაკი.

1939 წ. 13 იანვარი – 1968 წ. 14 ოქტომბერი, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 წიგნაკი.

5. ამონაბეჭდი უმაღლესი საატესტაციო კომისიის 1940 წლის 17 თებერვლის № 7 ოქმიდან ი. აბულაძის თსუ არმენოლოგიის კათედრაზე დოცენტად დანიშვნის შესახებ.

პირი: ს. კაფტანოვი (უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე) მ. ბორისოვი (სწავლული მდივანი).

1940 წ. 17 თებერვალი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ასლი, 2 ფ.

6. ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია:

ა) ი. აბულაძის მიმართვა ენიმკის სამეცნიერო საბჭოს და ჩანაწერი დისერტაციისთვის საჭირო ვადის შესახებ.

რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ი. აბულაძის ხელმოწერით, 2 ფ.

ბ) პროფესორ ა. შანიძის განმარტებითი ბარათი ი. აბულაძის სადისერტაციო ნაშრომის შესახებ.

რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ა. შანიძის ხელმოწერით, 1 ფ.

გ) ამონაწერი ენიმკის საბჭოს № 6 ოქმიდან. საბჭო მხარს უჭერს ი. აბულაძის კანდიდატურას სტალინის სახელობის სადოქტორო სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე; ი. აბულაძის ხელმძღვანელად ამტკიცებს პროფესორ ა. შანიძეს.

1940 წ. 15 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელმოწერული, 1 ფ.

7. ი. აბულაძის ავტობიოგრაფია.

1940 წ. 15 აპრილი – 1953 წ. 15 თებერვალი, ქართულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი, 7 ფ.

8. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის გაერთიანებული სხდომის დადგენილება ი. აბულაძისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

1940 წ. 10 ივნისი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

9. 1940 წლის დეკემბერში ქ. ერევანში ჩატარებული უფასო და ფასიანი ლექციების გეგმა. უფასო ლექციათა ცხრილში მე-10 ნომრით შეტანილია ი. აბულაძის მოხსენება: სომხურ-ქართული ლიტერატურული კავშირი უძველეს დროს.

1940 წ. დეკემბერი, ერევანი, სომხურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

10. ი. აბულაძის სამეცნიერო საქმიანობის დახასიათება.

[1942 წ.] ნაბეჭდი, ხელმოწერული, 3 ფ.

11. ი. აბულაძის განცხადება სახელმწიფო სადაზღვევო სამმართველოს. ოფიციალურ ბლანკზე. 30 000 მანეთად აზღვევს სახლის მოძრავ ქონებას.

1943 წ. 4 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

12. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომის ოქმი (№ 6) ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის შესახებ.

1945 წ. 15 მაისი, რუსულ ენაზე, ასლი, ნაბეჭდი, დამონმებულია ინსტიტუტის ბეჭდით და სწავლული მდივნის თანაშემწის ს. მაჭავარიანის ხელმოწერით, 1946 წ. 24 იანვარს. 1 ფ.

13. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილების დიპლომი (№ 1657, 1929 წელი), გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

1945 წ. 19 ოქტომბერი, 1 ც.

14. ა) თსუ პედაგოგიური ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილების დამთავრების დიპლომი (№ 1657), გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

პირი: ნ. კეცხოველი (თსუ-ს რექტორი), დ. მგელაძე (ფაკულტეტის დეკანი), ნ. დგებუაძე.

1945 წ. 19 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ასლი, 2 ფ.

ბ) ამონაწერი № ბრძანებიდან ი. აბულაძის მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებითი შესრულების შესახებ.

გ) ამონაწერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ოქმიდან (№ 112, 1959 წ. 25 თებერვალი) ი. აბულაძის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორად დამტკიცების შესახებ.

პირი: ნ. მუსხელიშვილი, ს. ღურმიშიძე, ვ. ნინუა.

1959 წ. 24 მარტი, ნაბეჭდი, 1 ფ.

დ) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1959 წ. 5 ივნისი, რუსულ ენაზე, ი. აბულაძის ხელმოწერით, 2 ფ.

ე) მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (№ 00018, მოსკოვი, 3 ოქტომბერი 1947 წ.). უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი №1, 1947 წ. 11 იანვარი) ი. აბულაძეს ენიჭება მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

1963 წ. 6 მარტი, რუსულ ენაზე, ასლი, ნაბეჭდი, დამონმებული სანოტარო ბიუროს ბეჭდით და ნოტარიუსის ხელმოწერით, 1 ფ.

ვ) პროფესორის ატესტატი (№ 00621, მოსკოვი, 1947წ. 3 ოქტომბერი), გაცემული უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი № 1, 1947 წ. 11 იანვარი) ი. აბულაძის დამტკიცების შესახებ ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორად.

1963 წ. 6 მარტი, რუსულ ენაზე, ასლი, ნაბეჭდი, დამონმებული სანოტარო ბიუროს ბეჭდით და ნოტარიუსის ხელმოწერით, 1 ფ.

ზ) პირადი ბარათი, შევსებული ი. აბულაძის მიერ.

1965 წ. 25 იანვარი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

თ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების დადგენილება ი. აბულაძის განყოფილების ბიუროს წევრად დამტკიცების შესახებ.

პირი: გ. მელიქიშვილი, ო. გვინჩიძე, ქ. ნოდია.

1967 წ. 20 დეკემბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

ი) ამონაწერი № 38 ბრძანებიდან – თანახმად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1968 წლის 28 მარტის № 14 განკარგულებისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ი. აბულაძე 1 აპრილიდან ერთი წლის ვადით ითვლება შემოქმედებით შევსებულაში.

1968 წ. 29 მარტი, ნაბეჭდი, დამონმებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ბეჭდით, 1 ფ.

კ) ამონაწერი № 135 ბრძანებიდან იმის შესახებ, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ი. აბულაძე გარდაცვალების გამო ამოირიცხოს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა სიიდან.

1968 წ. 14 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

ლ) ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციისა და თანამშრომელთა განცხადებები ი. აბულაძის გარდაცვალების შესახებ. ადრესატები: გაზეთ „თბილისის“ რედაქცია; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი; ბაქოს ნიზამის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი; აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება.

1968 წ. ოქტომბერი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 14 ფ.

მ) მეცნიერული შრომებისა და სახელმძღვანელოების სია (1936-1958 წწ.)

უთარილო, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ორ ცალად, 6 ფ.

ნ) დაჯილდოების ფურცელი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერელი, 1 ფ.

15. ი. აბულაძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილების დამთავრების დიპლომი (№ 1662, 1926 წელს).

პირი: ნ. კეცხოველი (თსუ-ს რექტორი), დ. მგელაძე (ფაკულტეტის დეკანი)
1945 წ. 3 ნოემბერი, 1 დიპლომი, აქვე 2 ასლი.

16. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცლები.

1946 წ. 20 იანვარი – 1953 წ. 20 თებერვალი, რუსულ ენაზე, შევსებულია ი. აბულაძის ხელით, 4 ფ.

17. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმის (№ 1) ამონაწერი ი. აბულაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისა და თსუ ძველი ქართული ენის კათედრაზე პროფესორად დანიშვნის შესახებ.

პირი: ს. კაფტანოვი, მ. ბორისოვი.

1947 წ. 25 თებერვალი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, იქვე ორი ასლი, ერთი ბეჭდიანი, 3 ფ.

18. მოწმობა (№11), გაცემული ი. აბულაძის სახელზე, იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს ატაროს უნივერსიტეტის დამთავრების სამკერდე ნიშანი.

1947 წ. 14 მარტი, რუსულ ენაზე, ნ. კეცხოველის ხელმოწერით, 1 ც.

19. საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ბრძანება (№ 1224/კ) ი. აბულაძის თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად დანიშვნის შესახებ.

პირი: ა. თოფჩიევი, კ. მოხრიაკოვა.

1947 წ. 7 აგვისტო, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დამოწმებულია უმაღლესი განათლების სამინისტროს ბეჭდით, 1 ფ.

20. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (№ 00018), გაცემული ი. აბულაძის სახელზე უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ.

პირი: ს. კადატაშოვი (უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე).

1947 წ. 3 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 1 ც.

21. პროფესორის ატესტატი (№ 00621), გაცემული ი. აბულაძის სახელზე უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ.

პირი: ს. კადატაშოვი (უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე).

1947 წ. 3 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

22. ი. აბულაძის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორობის ატესტატი.

1947 წ. 3 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ფ.

23. დიპლომი ი. აბულაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

1947 წ. 3 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, ასლი. 1 ფ.

24. ი. აბულაძის სამხედრო ბილეთი (№ 43930).

1948 წ. 3 აპრილი, თბილისი, რუსულ ენაზე. 1 ც.

25. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაგრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების სანევრო ბილეთი (№ 345484), გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

პირი: ნ. მუსხელიშვილი (საქართველოს სსრ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე).

1949 წ. ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ბილეთი.

26. ი. გიგინეიშვილის იუმორისტული ლექსები.

1950 წ. 3 ფ.

27. ამონაწერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან (№ 16 § №4) ენისა და ლიტერატურის ტერმინოლოგიის ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის განხილვა – დამტკიცების შესახებ.

პირი: ა. შანიძე – რედაქტორი, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, კ. კეკელიძე, გ. წერეთელი, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, შ. რადიანი, ქ. ლომთათიძე, ი. გიგინეიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, გ. ძონენიძე, ხელს აწერს ვ. ნინუა

1951 წ. 19 ივლისი, ნაბეჭდი, 1 ფ.

28. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელის ი. აბულაძის ჩათვლის ნიგნაკი.

1952 წ. 15 იანვარი, თბილისი, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ნიგნაკი.

29. სხვადასხვა ღონისძიებაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათები ი. აბულაძის სახელზე.

1952-1968 წწ. ქართულ, სომხურ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, ნაბეჭდი, 32 ც.

30. საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ბრძანება (№ 46) ი. აბულაძის თსუ ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორად დანიშვნის შესახებ.

1953 წ. 30 იანვარი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

31. ამონაწერი საბინაო მშენებლობის კოოპერატივ „ბინმშენის“ სხდომის ოქმიდან (№ 14, 1953 წ. 9 მაისი) ი. აბულაძის კუთვნილი პაის მოქალაქე ზ. ჭუმბურიძის სახელზე გადაცემის შესახებ.

1953 წ. 9 მაისი, ნაბეჭდი, 1 ფ.

32. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახლმმართველობის ხელშეკრულება და ბინის ჩაბარება-მიღების აქტი, გაცემული „დამქირავებელ“ ი. აბულაძის სახელზე.

პირი: ჯ. უფლისაშვილი (თსუ-ს სახლმმართველი), ნ. აბულაძე, ლ. აბულაძე, გ. აბულაძე (ძმისშვილები), ქ. თეთრაძე (რძალი). ხელისმომწერნი: ი. აბულაძე, ჯ. უფლისაშვილი.

1953 წ. 12 მაისი, თბილისი, ნაბეჭდი, 6 ფ.

33. ამონაწერი პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან № 12 §15 აკადემიის ნევრ-კორესპონდენტ ი. აბულაძის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ.

პირი: ა. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. ძონენიძე, ვ. ნინუა, ნ. ბედუკაძე.

1953 წ. 21 მაისი, ნაბეჭდი, 1 ფ.

34. „დოსააფის“ საწვერო ბილეთი (№ 259916), გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

1953 წ. რუსულ ენაზე, 1 ც.

35. საქართველოს სსრ სახანძრო საზოგადოების საწვერო წიგნაკი, გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

პირი: ვ. ლეჟავა (სახანძრო საზოგადოების თავმჯდომარე).

1955 წ. ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

36. სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგის ი. აბულაძის საშვი № 38.

1957 წ. 9 მარტი, ხელს აწერს ვ. დუჩიძე, 1 ც.

37. ი. აბულაძის დახასიათება (ექლვეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში წარსადგენად).

პირი: ი. რუხაძე (მუზეუმის დირექტორი), გ. ჯალაბაძე (ადგილკომის თავმჯდომარე).

[1959 წ.], ნაბეჭდი, 2 ფ.

38. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესიის პროგრამა.

1960 წ. 25-29 ოქტომბერი, სომხეთი, სომხურ და რუსულ ენებზე, სტამბურად ნაბეჭდი, 24 ფ.

39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, ი. აბულაძისთვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.

პირი: გ. ძონენიძე (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე), ზ. გულდიაშვილი (მდივანი).

1961 წ. 22 თებერვალი, ქართულ და რუსულ ენებზე, 2 ფ.

40. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის 1937 წელს კურსდამთავრებულთა მოსაწვევი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების 25 წლისთავის აღსანიშნავად.

1962 წ. ნაბეჭდი, აქვეა ი. აბულაძის მინაწერები, ნაწილი ფანქრით, 1 ფ.

41. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის მე-4 საქალაქო კონფერენციის დელეგატობის მანდატი № 353, გაცემული ი. აბულაძის სახელზე. იქვე კონფერენციის დღის წესრიგის პროექტი.

[1964 წ.], ქართულ და რუსულ ენებზე, 4 ფ.

42. „Rd6 zf6d6ta kgxt9 d6si ota1fufg“ ინტერვიუ ი. აბულაძესთან [ჩვენს საუკუნეებში გაჟღერებული სიმღერის ჯადოქარი]. „Etadjfufg A6fejf“ გაზ: (საბჭოთა საქართველო).

1965 წ. 28 იანვარი, № 12, 1 ც.

43. ი. აბულაძე – ჩემი ანდერძი.

1967 წ. 16 იანვარი, ავტოგრაფი, შავი, იქვე ნაბეჭდი 2 ცალად, 6 ფ.

44. ინტერვიუ ი. აბულაძესთან – „საუბარი ხელნაწერებზე“. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“.

1967 წ. 5 ოქტომბერი, 1 ც.

45. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის პირველი კონფერენციის დელეგატის ი. აბულაძის ანკეტა.

1967-1968 წწ. ნაბეჭდი, ი. აბულაძის ხელმოწერით, 1 ფ.

46. ი. აბულაძის განცხადებები ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის ე. მეტრეველის სახელზე სამსახურიდან გათავისუფლებისა და პენსიაზე გასვლის შესახებ.

1968 წ. სექტემბერი, ავტოგრაფი, უმეტესი ფანქრით ნაწერი, 4 ფ.

47. ი. აბულაძის ნეკროლოგები. გაზ. „კომუნისტი“, 1968, 12 ოქტომბერი, № 240. გაზ. „Заря Востока“, 1968 წ. 12 ოქტომბერი, № 240. 2 ც.

48. სამგლოვიარო დეპეშები ი. აბულაძის გარდაცვალების გამო, გზავნიან: სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის, ენის, ისტორიის ინსტიტუტები, აღმოსავლეთმცოდნეობის სექტორი; მატენადარანის დირექტორი – ლეონ ხაჩიკიანი; ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი – რუბენ ზარიანი; საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე – ს. ო. შმიდტი; აზერბაიჯანის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი.

პირი: რ. ორბელი, ვარდ ბლოიანი, კ. გრიგოლია, ქ. სანიკიძე, ნ. ჯავახიშვილი, ვ. ლეჟავა, კ. მეძველაძე.

ტოპონიმი: ერევანი, მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბაქო, ქუთაისი, ზუგდიდი.

1968 წ. ოქტომბერი, 24 ფ.

49. აკაკი შანიძის სტატია (მოგონება) ი. აბულაძეზე. „პროფესორ ი. აბულაძის ხსოვნას“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“.

1968 წ. 13 დეკემბერი, 1 ც.

50. არნოლდ ჩიქობავა – რამდენიმე სიტყვა ი. აბულაძის მოსაგონრად (ნაკითხულია ი. აბულაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე).

1981 წ. 16 ნოემბერი, ავტოგრაფი, შავი, 8 ფ.

51. ჟან-პიერ მაე (საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი, ლიტერატურისა და წარწერების აკადემია). წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ზ. ალექსიძეს ი. აბულაძის დაბადების ასი წლისთავის გამო.

2001 წ. 19 ნოემბერი, პარიზი, ქართულ ენაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, 2 ფ.

52. ნინო ვლადიმერის ასული აბულაძის წერილი ზ. ალექსიძეს და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს ი. აბულაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო. მაღლობას უხდის ი. აბულაძის 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

2001 წ. 27 ნომბერი, ავტოგრაფი, 1 ფ, 1 კ.

53. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ი. აბულაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი და დღის წესრიგი.

2001 წ. 27-28 ნომბერი, 2 ფ.

54. აკადემიკოსი ე. მეტრეველი – ი. აბულაძე. გაზ. „საპოვნელა“, № 11, 2001 წ. აკადემიკოსი ვ. ბერიძე – ნაწყვეტი მოგონებებიდან.

55. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II – სიტყვა ი. აბულაძის 100 წლისთავის აღსანიშნავ პანაშვიდზე. გაზ. „საპოვნელა“ 2003 წ. №№ 10-11, 1 ც. გადმობეჭდილია გაზ. „საპატრიარქოს უწყებიდან“ (№ 48, 2001).

56. ი. აბულაძის სამეცნიერო საქმიანობის დახასიათება ენციკლოპედიისათვის.

უთარილო, ნაბეჭდი, 1 ფ.

57. ი. აბულაძის დახასიათება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ასლი, ხელმოწერილი, 2 ფ.

58. ი. აბულაძის დახასიათება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ასლი – ქართულად, ხელს აწერენ გ. ჩუბინაშვილი და ვ. ცინცაძე. 3 ფ.

59. ი. გიგინეიშვილის იუმორისტული ლექსი მიძღვნილი ი. აბულაძისადმი.

უთარილო, ნაბეჭდი, 1 ფ.

60. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების II რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატობის მანდატი (№ 79), გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

უთარილო, ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

61. მატენადარანის დირექტორის – [გევორგ] აბოვ[იან]ის დეპეშა ი. აბულაძეს. აცნობებს, რომ იგი არჩეულია მატენადარანის სამეცნიერო საბჭოს წევრად და სთხოვს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასწრებას.

უთარილო, ერევანი-თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

62. მოსკოვში მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის მისამართები და ტელეფონის ნომრები.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

63. კალინინის სახელობის რაიონის კომკავშირული შტაბის მცირე აკადემიის პრეზიდენტის საპატიო წევრობის მონმობა, გაცემული ი. აბულაძის სახელზე.

უთარილო, 1 ც.

**ა) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა
განყოფილება და მეცნიერებათა აკადემიის
ხელნაწერთა ინსტიტუტი**

64. აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ძველ ხელნაწერთა ფონდების შემონმების ოქმი.

პირი: ა. ბარამიძე, ვ. ფუთურიძე, ი. აბულაძე, ვ. ჯაფარიძე, ლ. ქუთათელაძე, კ. გრიგოლია.

1953 წ. 9 ივლისი, ნაბეჭდი, 7 ფ.

65. მასალები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებებიდან დაკარგული ხელნაწერების მოძიების თაობაზე:

ა) საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ი. ახვლედიანის მიმართვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექციას კ. ხატიაშვილს. აწვდის ინფორმაციას აჭარის, თელავისა და მახაჩაძის მუზეუმებში დაცული ხელნაწერების შესახებ.

1953 წ. 16 ოქტომბერი, თბილისი, ნაბეჭდი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

ბ) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლის ქრისტინე შარაშიძის მიმართვა მუზეუმის დირექტორს. აწვდის თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და წინანდლის ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მივლინების ანგარიშს.

1953 წ. 26 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 2 ფ.

გ) ე. მეტრეველის მივლინების ანგარიში ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში.

1953 წ. 11 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

დ) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგის ი. აბულაძის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნ. მუსხელიშვილს.

ანუდის ინფორმაციას ხელნაწერთა ფონდების დანაკლისების გამოვლენის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

66. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის კ. ხატიაშვილის მიმართვა № 697 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნ. მუსხელიშვილს.

სთხოვს, რომ გამოიყოს კომისია, რომელიც გადანყევებს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების საცავის აგების საკითხს.

პირი: ზ. თავართქილაძე, ი. აბულაძე

1954 წ. ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

67. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის კ. ხატიაშვილის მიმართვა № 704 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს.

სთხოვს, რომ ხელმეორედ განიხილონ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების საცავის აგების საკითხი.

პირი: ზ. თავართქილაძე, ი. აბულაძე

1954 წ. ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ.

68. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1956 წლის მუშაობის ანგარიში.

1956 წ. ავტოგრაფი, შავი, 9 ფ.

69. აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების 1957 წლის საერთო და ინდივიდუალური გეგმები.

პირი: შ. ბურჯანაძე, ე. მეტრეველი, თ. ენუქიძე, თ. ბრეგაძე, ლ. ქუთათელაძე, ვ. მირიანაშვილი, ნ. კასრაძე.

1956-57 წ. ავტოგრაფი, აქვე ნაბეჭდი, 19 ფ.

70. საგაზეთო სტატიები ხელნაწერთა ინსტიტუტის შესახებ.

1) „აქ ცოცხლობენ ძველი ხელნაწერები“, გაზ. „კომუნისტი“, 1957 წ. 13 აპრილი, № 88, 1 ც.

2) „Будущий городок рукописей“ (ხელნაწერთა მომავალი ქალაქი), გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1965 წ. 17 მარტი, 1 ც.

3) „Переживающие Столетия“ (ასწლეულებ გადატანილი), გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1958 წ. 26 ნოემბერი, № 163, 1 ც.

4) „В Хранилище Древних Рукописей“ (ძველ ხელნაწერთა საცავში), გაზ. „Правда“, 1957 წ. 13 მარტი, № 72, 1 ც.

71. [ი. აბულაძის] მოხსენება ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

ახლავს [ი. აბულაძის] მინაწერი ფანქრით: „აკად. ტიხომიროვი, არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე“.

[1957 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

72. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების 1929-1958 წწ.-ის მიღწევები და გამოცემები.

პირი: ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. ბოჭორიძე, გ. ჯაკობია, გრ. ნერეთელი, თ. ლომოური, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ლ. მუსხელიშვილი, ე. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე, ლ. ქუთათელაძე, შ. ბურჯანაძე, შ. გოზალიშვილი, ი. გიგინეიშვილი, მ. კახაძე, ი. დოლიძე, ს. ჯიქია.

[1958 წ.], ავტოგრაფი, 7 ფ.

73. ირაკლი ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რაფიელ დვალს.

სთხოვს უშუამდგომლოს ხელნაწერთა ინსტიტუტთან, რათა ე. ვეიდენბაუმის მასალის რედაქტირების ვადა გაუგრძელონ.

[1960 წ.], 21 მაისი, თბილისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 ფ.

74. აღმოსავლური ხელნაწერების კატალოგიზაციის საზოგადოება გერმანიაში მადლობას უხდის ხელნაწერთა ინსტიტუტს გამოგზავნილი ნივთებისათვის.

პირი: ვ. ფოიგტი.

1960 წ. 22 სექტემბერი, მარბურგი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 კ. 1 ფ.

75. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების დადგენილება.

ეხება ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ყოფნას.

[1962 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

76. ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლური და აფრიკული სწავლების ბიბლიოთეკის ბარათები გამოგზავნილი ხელნაწერთა ინსტიტუტისადმი. მადლობას უხდის მოამბის IV და V ტომების გაგზავნისათვის.

1963 წ. 1 მარტი – 1964 წ. 9 აპრილი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერელი, 2 ბარათი.

77. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ჩატარებული 5 წლის მუშაობის ანგარიში.

პირი: გ. ჟორდანია, შ. გოზალიშვილი (ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ე. მეტრეველი, რ. გვარამია (ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი, არაბისტი), შ. ბურჯანაძე.

[1963 წ.], ავტოგრაფი, ხელმოწერელი, 1 ფ.

78. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ახალ შენობაში განაწილების გეგმა.

1966 წლამდე, 4 ფ.

79. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა სია და საექიმო შემონმგების შედეგები. აქვეა მასალა ინსტიტუტის 6 საათიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლის შესახებ.

1967 წ. 5 ივნისი-28 ივლისი, ნაბეჭდი, 11 ფ.

80. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ადგილკომის 1967 წლის 10 ივლისის სხდომის ოქმი ამავე ინსტიტუტის 1967 წლის 3 ივლისის № 96 ბრძანების შესახებ. თან ახლავს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, მ. მამაცაშვილისა და ფოტო-კაბინეტის გამგის, თ. ბარამიძის ახსნა-განმარტებითი ბარათები.

პირი: ჯ. ოდიშელი (ადგილკომის თავმჯდომარე), მ. დოლაქიძე (მდივანი)

1967 წ. 12 ივლისი, ნაბეჭდი, 7 ფ.

ბ) ფოტოსურათები

81. ი. აბულაძე პატარაობისას.

[1906-1907 წ.], 2 ფოტო.

82. ილია და ბიძინა აბულაძეები პატარაობისას.

[1908-1909 წ.], ქუთაისი, მ. კაჩხიძის ფოტო, 2 ფოტო.

83. ი. აბულაძის ფოტო. ფოტოს თან ახლავს აბულაძის ხელით შესრულებული წარწერა.

1921 წ. 1 ფოტო.

84. ი. აბულაძე მუხრანის საბჭოთა მეურნეობის მამულში სარდაფის მუშებთან ერთად.

1930 წ. 28 სექტემბერი, 1 ფოტო.

85. ი. აბულაძე უცხო პირთა წრეში. ფოტოს თან ახლავს მანანა დავითის ას. აბულაძის (ი. აბულაძის ძმისშვილი) წერილი ზაზა ალექსიძისადმი – მადლობას უხდის ი. აბულაძის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნისათვის და უგზავნის ფოტოსურათს.

2001 წ. 28 ნოემბერი, ბოლნისი-თბილისი.

(XX ს-ის 30-იანი წწ.) 1 ფ. 1 ფოტო.

86. ი. აბულაძე და დევი აბაშიძე.

1933 წ. 4 აგვისტო, ესენტუკი, 1 ფოტო.

87. ი. აბულაძის ფოტოალბომი (ბლოკნოტი). შედგენილი მის მიერ.

1933-1934 წწ. 36 ფ.

88. 1. ი. აბულაძე და ჰანს ფოგტი.

2. ი. აბულაძე, ვლადიმერ აბულაძე და ჰ. ფოგტი.

[1933 წ.], სოფელი ზედა საქარა, 2 ფოტო.

89. ი. აბულაძე და ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილების 1939 წლის გამოშვება.

2 ფოტო.

90. ი. აბულაძის სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები.

1939-59 წწ. 5 ფოტო.

91. ი. აბულაძე და აკაკი შანიძე.

1941 წ. 16 თებერვალი, 5 ფოტო.

92. ი. აბულაძე სხვადასხვა ექსკურსიაზე სტუდენტებთან ერთად.

1947-1950 წწ. 4 ფოტო.

93. ი. აბულაძე და რუსი ფილოლოგების 1948 წლის გამოშვება.

1 ფოტო.

94. ი. აბულაძე ბიბლიოთეკაში.

1949 წ. 6 იანვარი, 3 ფოტო.

95. ი. აბულაძე სომხეთში.

1952 წ. 14-19 მარტი, 6 ფოტო.

- 96.** ი. აბულაძე ხაშურში თანამშრომლებთან ერთად.
1957 წ. მაისი, სტუმრად მ. ქავთარიასთან, 5 ფოტო.
- 97.** ი. აბულაძე ლიკანში.
1957 წ. აგვისტო, 12 ფოტო.
- 98.** ი. აბულაძე ქართველ მეცნიერთა წრეში.
1957 წ. 12 ფოტო.
- 99.** ი. აბულაძე იულიუს ასფალგთან და თანამშრომლებთან ერთად.
1960 წ. 18 აგვისტო, 2 ფოტო.
- 100.** ი. აბულაძე არქეოგრაფიული კომისიის მიერ მოწყობილ I საკავ-
შირო კონფერენციაზე.
1960 წ. ქ. ერევანი, მატენადარანი, 3 ფოტო.
- 101.** ი. აბულაძე გაგრამში.
1962 წ. 3 მარტი, 1 ფოტო.
- 102.** ი. აბულაძე მეცნიერებთან ერთად.
1962 წ. 1 მაისი, 4 ფოტო.
- 103.** ი. აბულაძე, ე. მეტრეველი, ი. ასფალგი ატენში.
1965 წ. 7 აპრილი, 4 ფოტო.
- 104.** ი. აბულაძე ხიზაბავრაში.
1966 წ. 6 ფოტო.
- 105.** ი. აბულაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები და უცხო-
ელი სტუმრები რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო
დღეების დროს.
1966 წ. 5 ფოტო.
- 106.** ი. აბულაძე ლილი ქუთათელაძის საიუბილეო საღამოზე.
[1967 წ. 15 მაისი], 2 ფოტო.
- 107.** ი. აბულაძე და ე. მაჭავარიანი A95-ზე ხელნაწერზე მუშაობის
დროს. გაზ. „Заря Востока“-ში გამოქვეყნებული ფოტო.
1967 წ. ივნისი, 2 ფოტო.
- 108.** ი. აბულაძე, გ. ჩუბინაშვილი, რ. მეფისაშვილი და თ. ბარნაველი.
1968 წ. 1 ფოტო.

- 109.** ი. აბულაძე და მისი ოჯახი.
უთარილო, 2 ფოტო.
- 110.** ი. აბულაძე მეცნიერთა წრეში.
უთარილო, 3 ფოტო.
- 111.** ი. აბულაძე ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში.
უთარილო, 4 ფოტო.
- 112.** ი. აბულაძის სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები.
უთარილო, 27 ფოტო.
- 113.** ი. აბულაძე ქართველ მეცნიერთა წრეში.
უთარილო, 1 ფოტო.
- 114.** ი. აბულაძე საფარის ექსპედიციის დროს.
უთარილო, 2 ფოტო.
- 115.** ი. აბულაძე და არნოლდ ჩიქობავა.
უთარილო, 2 ფოტო.
- 116.** ი. აბულაძე უცხო პირთა წრეში.
უთარილო, 3 ფოტო.
- 117.** ი. აბულაძე ჯგუფურ ფოტოებზე.
უთარილო, 10 ფოტო.
- 118.** ი. აბულაძე თანამშრომლებთან ერთად.
უთარილო, 2 ფოტო.
- 119.** ი. აბულაძე ჯგუფურ ფოტოებზე.
უთარილო, 3 ფოტო.
- 120.** ი. აბულაძე ჯგუფურ ფოტოებზე.
უთარილო, 2 ფოტო.
- 121.** ი. აბულაძე, მ. მამაცაშვილი და ე. მეტრეველი.
უთარილო, ერევანი, 1 ფოტო.
- 122.** ი. აბულაძე, ე. მეტრეველი და ე. ცაგარეიშვილი.
უთარილო, 2 ფოტო.

- 123.** ი. აბულაძე უცხო პირთა წრეში.
უთარილო, 4 ფოტო.
- 124.** ი. აბულაძე სხვადასხვა მეცნიერთა წრეში.
უთარილო, 2 ფოტო.
- 125.** ი. აბულაძე, ს. ჯიქია და ა. შანიძე
უთარილო, 2 ფოტო.
- 126.** ი. აბულაძე, ე. მეტრეველი და მ. ებრალიძე.
უთარილო, 2 ფოტო.
- 127.** ი. აბულაძე ხელნაწერთა გადაღების დროს.
უთარილო, 8 ფოტო.
- 128.** ი. აბულაძე და მისი დისშვილი ლეილა თუმშალიშვილი.
უთარილო, 1 ფოტო.
- 129.** ი. აბულაძე და მისი ძმისშვილის, გურამის, ქალიშვილი ეკა აბულაძე.
უთარილო, 1 ფოტო.
- 130.** ფოტო-ჟურნალისტ რ[უბენ სტეფანეს ძე] აკოფოვის ფოტო. სამხსოვრო წარწერით ი. აბულაძისადმი.
უთარილო, 1 ფოტო.
- 131.** ი. აბულაძის კონტურული ჩანახატი.
უთარილო, 1 ფ.

II

შემაჯავებელი მასალები

ა) ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებული კვლევები

132. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები (ნაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (შოთა რუსთაველის სახელობის) ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექციების გაერთიანებულ სხდომაზე 1934 წ. 28 თებერვალს).

[1934 წ.] ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რუსული და სომხური ტექსტები ჩანერილია ი. აბულაძის ხელით, 2 გზემპლარად, 48 ფ.
დაბეჭდილია: თსუ შრომები, ტ. III, 1936; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

133. „სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა ძველად“.
1940 წ. 27 დეკემბერი, ერევანი, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 25 ფ.

134. ეპიფანე კვიპრელის „ათორმეტა თუალთათჳს“-ის ვრცელი სომხური ვერსია.

[1940 წ.], ავტოგრაფი, ორ ცალად, ერთი – შავად ნაწერი, მეორე – ნაკლული, სულ 14 ფ.

135. ქართული და სომხური ლიტერატურის ურთიერთობა ძველად IX-X სს. თარგმანები.

[1940-1944 წწ.], ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 32 ფ.

136. ქართული და სომხური ლიტერატურის ურთიერთობა ძველად IX-X სს. თარგმანები, ტექსტები. პირველ გვერდზე: „მზად არის დასაბეჭდად. რედაქტორი ა. შანიძე. 25. XI. 1943 წ.“

1943 წ. ავტოგრაფი, შავი, მინაწერები ფანქრით, 344 ფ.

დაბეჭდილია: ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს. გამოკვლევა და ტექსტები 1944 წ. ტექსტებს თან ახლავს ქართულ-სომხური ლექსიკონები.

137. ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში. პატერიკის წყაროს საკითხისათვის.

[1943-1944 წწ.], ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 9 ფ.

დაბეჭდილია: „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. II, 1944.

138. ა) [ქართულის კვალი ძველ სომხურ პატერიკში].

ბ) ლექსიკური შეხვედრები ქართულსა და სომხურ ენებში.

[1944-1945 წწ.], ქართულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, შავი, 6 ფ.

139. კიდევ ახალი ძეგლები ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობისა ძველად (წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა სომხეთის 31 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. 1951 წლის 12 დეკემბერი).

1951 წ. 5 დეკემბერი, თბილისი, ავტოგრაფი, შავი, 37 ფ.

140. სომხური დიალექტური ფორმები X ს-ის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით.

1954 წ. 4 მარტი, ავტოგრაფი, იგივე ნაბეჭდი, შავი, მინანურები ფანქრით, 3 გზემპლარი, 38 ფ.

დაბეჭდილია: ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1976.

141. О некоторых общих словах армянского и грузинского языков в свете учения Р. Ачаряна (ზოგიერთი საერთო სიტყვის შესახებ სომხურ და ქართულ ენებში ჰრ. აჭარიანის სწავლების ფონზე).

[1954 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 ფ.

142. სომხურისა და ქართულის ზოგიერთ საერთო ხმარების სიტყვათა წარმოშობისათვის.

[1954 წ.] ავტოგრაფი, შავი, 5 ფ.

დაბეჭდილია: ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1976.

143. სომხურ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია. მოკლე მიმოხილვა.

[1961-1962 წწ.], სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, აქვეა ნაბეჭდიც, 39 ფ.

144. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა.

[1966 წ.], ავტოგრაფი, შავი, 11 ფ.

დაბეჭდილია: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, თბ., 1985.

145. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო: VII, იოანე ოქროპირის „მარხვისათვის და იონაჰსათვის“.

[1966 წ.], ავტოგრაფი, 23 ფ.

დაბეჭდილია: „მრავალთავი“, ტ. I, 1971; ი. აბულაძე, შრომები, ტ. I, თბ., 1975.

146. ქართული-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო: VIII, იოანე ოქროპირი „გურიტისათვის“.

1967 წ. 15 ოქტომბერი, ავტოგრაფი, მინანურები ფანქრით, იქვე ნაბეჭდი, 25 ფ.

დაბეჭდილია: „მრავალთავი“, ტ. II, 1973; შრომები, ტ. I, 1975.

147. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის მიმოხილვა (V-XIII სს-მდე).

1968 წ. 2 მარტი, ნაბეჭდი, უსათაურო, 3 ფ.

ბ) ლექსიკონები

ლექსიკოლოგია

148. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, შედგენილი ი. აბულაძის მიერ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 4 ნიგნი, 1502 ფ.

149. ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი (ა-ნი).

უთარილო, ავტოგრაფი, 2 ბლოკნოტი, 99 ფ.

150. სალექსიკონო მასალა ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის.

უთარილო, ავტოგრაფი, 29 რვეული, 381 ფ.

151. „მამათა ცხოვრების“ ლექსიკონი, შედგენილია ი. აბულაძის მიერ.

[1955 წ.] ავტოგრაფი, 2 დავთარი, 209 ფ.

152. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი და მისი განმარტებათა ლექსიკის საძიებელი.

1965 წ. 15 თებერვალი, ავტოგრაფი, შავი, 42 ფ.

აქვე: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ და მისი განმარტებათა ლექსიკის საძიებელი.

1965 წ. 30 აგვისტო, ნაბეჭდი, 291 ფ.

დაბეჭდილია: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

თხზულებანი, ტ. IV, წიგნები 1, 2, ტექსტი შესავლითურთ. 1965-1966 წწ.

153. „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ლექსიკონი.

უთარილო, ავტოგრაფი, 4 რვეული, 85 ფ.

154. ქართულ-სომხური შესატყვისობანი სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფად მიჩნეული ლექსიკონის მიხედვით.

1931 წ. აპრილი, ავტოგრაფი, შავი, 2 რვეული, 109 ფ.

155. ქართულ-სომხური ლექსიკონი.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 რვეული, 48 ფ.

156. ქართულ-სომხური სალექსიკონო მასალა ბარათებზე.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 ყუთი, 4711 ბარათი.

157. ქართულ-სომხური ლექსიკა, ამოკრებილი ი. აბულაძის მიერ ჰ. აჭა-რიანის სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან.

უთარილო, ავტოგრაფი, 98 ფ.

158. სომხურ-ქართული ლექსიკონების შედარებითი ნუსხა.

1932 წ. 8 მარტი, ავტოგრაფი, 258 ფ.

159. სომხურ-ქართული ლექსიკონი (სტ. შაუმიანის სამკითხველოს წიგნთა შორის მიკვლეული 1932 წ.), გადანერილი ი. აბულაძის ხელით.

1932 წ. 1 რვეული, 161 ფ.

160. სომხურ-ქართული ლექსიკონი.

უთარილო, ავტოგრაფი, 3 წიგნი და 1 დავთარი, 1133 ბარათი.

161. მასალები ძველი ქართული და ძველი სომხური დოკუმენტირებული ლექსიკონისათვის.

უთარილო, ავტოგრაფი, 12180 ბარათი.

162. მასალები ტერმინთა ლექსიკონისათვის.

უთარილო, ავტოგრაფი, 48 რვეული, 514 ფ.

163. ამონაწერები ლექსიკონებისათვის სხვადასხვა ხელნაწერებიდან (ხელნაწერთა ინსტიტუტის A, H, Q ფონდებიდან, სინური და იერუსალიმური კოლექციებიდან).

უთარილო, ავტოგრაფი, 6 ბლოკნოტი, 176 ფ.

ლექსიკა

164. ძველი ქართული ლექსიკიდან. „დილეგი“, „სადილეგო“.

1943 წ. 4 ივნისი, ავტოგრაფი, შავი, 4 ფ.

დაბეჭდილია: ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

165. ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრანი. სტატიები: 1. ზეზვა, 2. ხევისი, 3 ულვაში, 4. ჯადაგო – ჯადაგობა, 5. ბანდაკი, 6. დროშა.

1946 წ. 5 მაისი, თბილისი, ავტოგრაფი, 34 ფ.

დაბეჭდილია: სტატიები – ზეზვა, ულვაში, ჯადაგო – ჯადაგობა, შრომები, ტ. II, 1976. სტატიები: ბანდაკი, დროშა, ხევისი. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1945. ტ. II, 1976.

166. ქართულიდან სომხურში ნასესხები სიტყვა: „მეკრისტონე“.

[1949-1950 წწ.], ავტოგრაფი, სომხურ ენაზე, შავი, 2 ფ.

167. Несколько общих слов в древнегрузинском и древнеармянском языках (რამდენიმე საერთო სიტყვა ძველ ქართულ და ძველ სომხურ ენებში).

[1950-1951 წწ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, იქვეა ნაბეჭდი.

დაბეჭდილია: ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ერევანი, 1967, №2-3; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

168. ძველი ქართული ლექსიკიდან. „საკუთარი“.

1954 წ. 19 სექტემბერი, თბილისი, ავტოგრაფი, შავი, 11 ფ.

დაბეჭდილია: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959; ი.

აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

169. ძველი ქართული ლექსიკიდან. 2. ძალი – ძნობა – მძნობარი და 3. ხე //ხი – ხიობა//სახიობა-მახიობელი//მსახიობელი.

1955 წ. 31 მარტი, თბილისი, ავტოგრაფი, შავი, ავტორისეული ჩასწორებებით, 10 ფ.

დაბეჭდილია: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, 1960; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

170. ძველი ქართული ლექსიკიდან. „გლეხი“.

1955 წ. 7 მაისი, თბილისი, ავტოგრაფი, 9 ფ.

დაბეჭდილია: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

171. ძველი ქართული ლექსიკიდან. „ნამი“.

[1956 წ.], ავტოგრაფი, შავი, 6 ფ.

172. ძველი ქართული ლექსიკიდან. „ვაჰმანი-ვაამანი“.

1957 წ. 22 დეკემბერი, ავტოგრაფი, ახლავს მანქანაზე გადაბეჭდილი პირი, 5 ფ.

დაბეჭდილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. III, 1963; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

173. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები. „პინჩი“, „გურკნა“.

[1957 წ.], ავტოგრაფი, შავი, მინაწერები ფანქრით, 5 ფ.

დაბეჭდილია: ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

174. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები. „ძელოვანი“.

[1957 წ.], ავტოგრაფი, შავი, 4 ფ.

დაბეჭდილია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, 1957; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

175. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. 4. „ნაჭარი“; 8. „სენი/სენა“; 9. „გამწარება“.

1958 წ. ავტოგრაფი, შავი, მინაწერები ფანქრით, 8 ფ.

დაბეჭდილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2, 1960; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

176. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. 5. „მზმელი“; 6. „მახალი“; 7. „აბეზარ-აბეზრობა“.

1959 წ. 9 მარტი, თბილისი, ავტოგრაფი, შავი, 9 ფ.

დაბეჭდილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, 1960; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

177. „ცოდვა“ და „შეცოდება“ ტერმინებისათვის.

1960 წ. 5 თებერვალი, ავტოგრაფი, შავი, მინაწერები ფანქრით, 2 ფ.

- 178.** „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. „სიხარკე“.
[1960 წლის შემდეგ], ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 3 ფ.
- 179.** „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. 10. „წუნობა-დანუნება“.
[1960-1961 წწ.], ავტოგრაფი, შავი, მინანქრები ფანქრით, 4 ფ.
დაბეჭდილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, 1961; შრომები, ტ. II, 1976.
- 180.** ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები. 8. „შუ(ვ)აგ=შუქი“.
[1962 წლის შემდეგ.], ავტოგრაფი, შავი, 8 ფ.
დაბეჭდილია: ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1976.
- 181.** ძველი ქართული ლექსიკიდან. რას ნიშნავს სინური მრავალთავის „არშებრ“ და „მხერვალი“.
[1964 წ.], ავტოგრაფი, 6 ფ.
დაბეჭდილია: ფილოლოგიური ძიებანი, ტ. I, 1964 წ; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.
- 182.** „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. „მჩმუნავი“.
1965 წ. 16 მარტი, ავტოგრაფი, იგივე ნაბეჭდი, 9 ფ.
დაბეჭდილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXVIII, № 3, 1965; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.
- 183.** „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. „უვაჭრელად“.
[1966 წ.], ავტოგრაფი, შავი, ახლავს ავტორისეული მინანქრები, 4 ფ.
- 184.** „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. „შეპოვნება“; „დაცადება“.
უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 6 ფ.
დაბეჭდილია: კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.
- 185.** ძველი ქართული ენის ლექსიკიდან. „მანვა“.
უთარილო, ავტოგრაფი, იგივე ნაბეჭდი, 4 ცალად, 1 ეგზემპლარი ჩასწორებულია ი. აბულაძის ხელით, 23 ფ.
- 186.** ძველი სომხური „თაზელ“ სიტყვისათვის.
უთარილო, ქართულ და სომხურ ენებზე, შავი, ავტოგრაფი, 1 ბლოკნოტი, 5 ფ.
- 187.** სიტყვა „სხლეტა“.
უთარილო, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

გ) ტექსტოლოგია

ქართული ტექსტები, გადაწერილი ი. აბულაძის მიერ

188. რიცხუთა (ბიბლიის წიგნი). გადმოწერილი A 51 (მე-7-თავის ჩათვლით) და A 1108 ხელნაწერებიდან.

უთარილო, ავტოგრაფი, მცირე ნაწილი სხვა ხელით, 2 დავთარი, მინაწერები ფანქრით, 135 ფ.

დაბეჭდილია: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. II, თბ., 1990.

189. „სიბრძნე სოლომონისი“. Ath. 1 (ოშკის ბიბლიიდან).

უთარილო, ავტოგრაფი, 44 ფ.

დაბეჭდილია: ძველი აღთქმის აპოკრიფთა ქართული ვერსიები, ტ. I, თბ., 1970.

190. „სიბრძნე ისუ ზირაქისი“, „წიგნი ბარუქისი“ (წმ. წერილის წიგნები). გადმოწერილი Ath. 1 (ოშკის ბიბლიიდან).

უთარილო, ავტოგრაფი, მინაწერები ფანქრით, 3 დავთარი, 157 ფ.

191. სამოციქულო. ევთალეს სტიქომეტრია. გადმოწერილი ქუთაისის № 176 ხელნაწერიდან.

უთარილო, ავტოგრაფი, ახლავს ვარიანტები, 1 დავთარი, 78 ფ.

დაბეჭდილია: კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბ., 1977, გვ. 97-133.

358. ა) [წამება წმ. სუქიასეველთა]. ვარიანტები № 1524 და № 4670 ხელნაწერების მიხედვით. ფანქრით ნაწერი.

ბ) [წამება წმ. ოსკეანთა]. ახლავს ვარიანტები, ფანქრით ნაწერი.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, ორივე ტექსტი, 1 რვეული, 30 ფ.

დაბეჭდილია: ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული

ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, თბ., 1944, გვ. 9-21.

359. [წმ. საჰაკ-მამამთავრის აღსრულება]. გადმოწერილია № 1524 ხელნაწერიდან.

უთარილო, ქართულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, ახლავს ვარიანტები, ფანქრით ნაწერი, 1 რვეული, 7 ფ.

დაბეჭდილია: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, თბ., 1944, გვ. 80-84.

360. ა) [იოანე ოქროპირი, წმ. ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულ მარიამისათვის].

ბ) [წმ. საჰაკ სომეხთა მამამთავრის აღსრულება]. დაბეჭდილია: ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, თბ., 1944, გვ. 80-84.

გ) [წმ. მეფე კონსტანტინეს მიერ იერუსალიმში წმ. ჯვრის სასწაულის ხილვა და მისი პოვნა]. ბოლონაკლული, გადმოწერილია № 80 ხელნაწერიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 12 ფ.

361. [ვარდაპეტ ვარდანის მიერ წმიდა მოძღვართა და ბრძენთაგან შეკრებილი კითხვა-მიგებანი]. ამონაწერები მატენაძარანის № 2282 ხელნაწერიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 5 ფ.

362. ა) [ნუნესა და მანეს ცხოვრება]. გადმოწერილია № 7246 ხელნაწერიდან.

ბ) [კვინკლოსი]. ამონაწერი № 670 ხელნაწერიდან.

გ) [მოვსეს ხორენაცის გეოგრაფიიდან]. ამონაწერი № 822 ხელნაწერიდან.

დ) [იოანე ოქროპირი, „ხარებისათვის“]. თავნაკლული.

ე) [ეპიფანე კვიპრელი, „ფსალმუნთა განმარტება“]. ამონაწერი № 78 ხელნაწერიდან. ფანქრით.

ვ) [ანტონ მეუდაბნოეს მოსახსენიებელი]. ამონაწერი № 78 ხელნაწერიდან. ფანქრით.

ზ) [გრ. ნოსელი, „მკვდართა აღდგომისათვის“]. ამონაწერი № 78 ხელნაწერიდან. ფანქრით.

თ) [თეოდორე ზორავარის წამება]. ამონაწერი № 79 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ფანქრით.

ი) [ბასილი კესარიელი, შესხმა წმ. ორმოცი ყრმისა]. ამონაწერი № 79 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ფანქრით.

ია) [ჯვრის სამსჯეალთა პოვნა]. ამონაწერი № 78 ხელნაწერიდან. ახლავს ვარიანტები.

იბ) [თომა მოციქულის საქმეები და წამება]. ამონაწერები №№ 78, 79 ხელნაწერებიდან.

იგ) [წმ. იაკობის წამების ისტორია]. ამონაწერი № 78 ხელნაწერიდან. ფანქრით.

იდ) [იაკობის ისტორია]. ამონაწერი № 79 ხელნაწერიდან.

იე) [თეზდას, ქრისტეს მხევლის, ცხოვრების ისტორია]. ამონაწერი № 79 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები.

ივ) [წმ. გიორგის წამება]. ამონაწერი № 79 ხელნაწერიდან.

იზ) [გრიგოლ ღვთისმეტყველი, „უფლის შობისათვის“]. ფრაგმენტი. № 80 ხელნაწერიდან.

ით) [ამონაწერი ქართველ მეფეთა შესახებ]. გადმოწერილია № 80 ხელნაწერიდან.

კა) [კვინკლოსი]. ფანქრით.

კბ) [წმ. იოანე კოზერნის ხილვა]. ფრაგმენტი. ფანქრით.

კგ) [წმ. მოციქულისა და მახარებლის იოვანეს გარდაცვალება]. ბოლო-ნაკლული. ფანქრით. ახლავს ვარიანტები.

კდ) [პირველი სიტყვა ჯვრის შესახებ]. ფრაგმენტი.

კე) [ფილიპე მოციქულის... წამება]. ფრაგმენტი.

კვ) [სტეფანე პირველმონათმის შესხმა]. ფრაგმენტი.

კზ) [ეესებიოს კესარიელის მოსახსენიებელი..... სერგისი]. ფრაგმენტი.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ნაწილი ფანქრით,
ახლავს ვარიანტები და შენიშვნები, 7 რვეული, 75 ფ.

363. ა) [გრიგოლ ნოსელის თხზულებათა სათაურები]. აღებულია № 1139 ხელნაწერიდან.

ბ) [გრიგოლ ნოსელი, ეკლესიასტეს განმარტება]. ამონაწერი № 1139 ხელნაწერიდან.

გ) [სიმეონ პლინაპანეცის ანდერძი]. ამონაწერი № 1139 ხელნაწერიდან.

დ) [ქართველთა და ალბანელთა ქორონიკონი]. ამონაწერი № 1973 ხელნაწერიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს შენიშვნები ფანქრით და მელნით, 1 რვეული, 3 ფ.

364. ა) [გრიგოლ ღვთისმეტყველი, „საკითხავი უფლის შობისათვის“]. გადმოწერილია № 948 ხელნაწერიდან.

ბ) [იოანე ოქროპირი, „საკითხავი მოწაფეებისათვის ფეხთბანვის შესახებ“]. გადმოწერილია № 1525 ხელნაწერიდან.

უთარილო, სხვა ხელით, ახლავს ი. აბულაძის შენიშვნები, 27 ფ.

365. ა) [გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპიტაფია თავისი ძმის კესარიოსისა]. გადმოწერილია № 1500 ხელნაწერიდან, ახლავს კომენტარები ფანქრით.

ბ) [გრიგოლ ღვთისმეტყველი, თავისი ძმის კესარიოსის შესახებ სიტყვისაგან]. გადმოწერილია № 1525 ხელნაწერიდან. ახლავს კომენტარები ფანქრით.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 35 ფ.

366. ა) [თომა მოძღვარი, გაუწვრთნელ ყრმათა განსწავლისათვის]. გადმოწერილია № 7117 ხელნაწერიდან.

ბ) [მხითარ გოშის ანდერძ-მინაწერი]. გადმოწერილია № 2606 ხელნაწერიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 12 ფ.

367. ა) [იაკობ მამამთავრის ისტორია]. ცალკეული სიტყვები ვარიანტების სახით. ამოწერილია № 2601 ხელნაწერიდან. ფანქრით.

ბ) [ქართველთა და ბერძენთა ქორონიკონი]. ამონაწერი № 1999 ხელნაწერიდან, ფანქრით.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 3 ფ.

368. ა) [სიგრძის საზომთა ცოდნის შესახებ].

ბ) [იაკობის კურთხევა].

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 6 ფ.

369. ა) [დიონისიოს, სოკრატის ძის, ცხოვრება]. გადმოწერილია № 6196 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები.

ბ) [იგივე ტექსტი]. გადმოწერილია № 908 ხელნაწერიდან. ახლავს ვარიანტები ნაწილი ფანქრით.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 2 რვეული, 28 ფ. დაბეჭდილია: ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 133-147.

370. ა) [ლეონის ეპისტოლე]. ამონაწერი № 5859 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ქართულ ენაზე.

ბ) [გრიგოლ საკვირველთმოქმედი, „ქრისტეს შობისათვის“. ამონაწერი № 1524 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ქართულ ენაზე.

გ) [პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“. ამონაწერი № 1822 ხელნაწერიდან და გარნელი ეპისკოპოსის სიმეონის „პროკლეს თარგმანება“. ახლავს შენიშვნები ქართულად.

დ) [სიმეონ კრონავორის ანდერძი]. ამონაწერი № 3214 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ქართულად.

ე) [იოანე ოქროპირი, „ქრისტეს შობისთვის“. ამონაწერი № 3782 ხელნაწერიდან.

ვ) [თეოდორიას, ქრისტეს მხევლის, ცხოვრება და გარდაცვალება]. ამონაწერი № 3791 ხელნაწერიდან.

თ) [კეისართა წიგნებიდან, თეოდოს მცირეს შესახებ]. ამონაწერი № 993 და № 1525 ხელნაწერიდან.

ი) [წმ. თეოდოს მხედართმთავრის წამება]. ამონაწერი № 1525 ხელნაწერიდან და [მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“].

ია) [კირილე იერუსალიმელი, „ქრისტეს ამალგებისათვის“. ამონაწერი № 3787 ხელნაწერიდან.

იბ) [იოანე სინელი, „სათნოებათა კიბე“. ამონაწერი № 4145 ხელნაწერიდან.

იგ) [წმიდა ჯვრის დღესასწაულის შესახებ, თქმული წმიდა ვარდაპეტის მიერ]. ამონაწერი № 5228 ხელნაწერიდან.

იდ) [კარაბადინი]. ამონაწერი № 411 ხელნაწერიდან.

იე) [კიბე]. ამონაწერი № 5202 ხელნაწერიდან.

ივ) [კლემასი]. ამონაწერი № 7041 ხელნაწერიდან.

იზ) [საჰაკისა და მესროპის მიერ მოხაზული ასოების აღმოჩენა]. ამონაწერი № 8179 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ქართულად.

ით) [ფილონის სიტყვები]. ამონაწერი № 5254 ხელნაწერიდან. ახლავს შენიშვნები ქართულად.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 1 რვეული, 38 ფ.

371. [ეპიფანეს თქმული 12 [დღის], 12 მამამთავრისა და ... ძველი აღთქმის 12 წიგნის შესახებ]. გადმოწერილი მატენადარანის № 1097 ხელნაწერიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 8 ფ.

372. ა) [საუფლო ზეთის შესახებ]. ამონაწერი № 3070 ხელნაწერიდან.

ბ) სომხური ტექსტები, რომელთაგან ზოგი სრულია, ზოგი ფრაგმენტის სახითაა. ასევე მცირე ზომის ამონაწერები სხვადასხვა ხელნაწერებიდან.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს შენიშვნები ქართულ ენაზე, ფანქრით ნაწერი, 1 რვეული, 40 ფ.

373. ა) დოგმატურ-პოლემიკური შინაარსის ტექსტი.

ბ) ამონაწერები ხელნაწერიდან და სხვადასხვა შრომებიდან იოანე დამასკელის შესახებ.

უთარილო, ქართულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, ახლავს შენიშვნები ფანქრით, ნაწილი მელნით, ნაწილი ფანქრით ნაწერი, თავბოლონაკლული, 9 რვეული, 104 ფ.

374. ა) ამონაწერები ჟურნალიდან „ჰანდეს ამსორეა“. ახლავს შენიშვნები ქართულ და სომხურ ენებზე. ზოგან ფანქრით.

ბ) [წმ. შუშანიკის წამება]. ახლავს ვარიანტები. გადმოწერილია 1689 წლის № 941 ხელნაწერიდან.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 რვეული, 39 ფ.

დაბეჭდილია: იაკობ ცურტაველი, „მარტვილობა შუშანიკისი“.

ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1938.

375. უცნობი სომხური ხელნაწერიდან გადმოწერილი სომხური ტექსტი (სავარაუდოდ, ისტორიული ხასიათის).

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, თავბოლონაკლული, ახლავს ი. აბულაძის შენიშვნა ფანქრით, 12 ფ.

376. [დოგმატიკური შინაარსის ტექსტი].

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 10 ფ.

377. ქართული ბიბლიის ფრაგმენტები (IV მეფეთა, ტობი, II ნეშტა, III მეფეთა, I* ნეშტა). გადმოწერილია მატენადარანის №№ 1319, 1691, 7125, 3001, 6653, 223 ხელნაწერებიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, 8 ფ.

378. ქართული ბიბლიის ფრაგმენტები (II, IV მეფეთა, I ნეშტა და სხვა). გადმოწერილია – მატენადარანის №№ 719, 744, 799, 834, 891, 961, 966, 1071, 1189, 1137, 1253 ხელნაწერებიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, 14 ფ.

379. ა) ტობის წიგნის ქართული ტექსტის ფრაგმენტი მატენადარანის № 1725 ხელნაწერიდან.

ბ) იგავთა წიგნის ქართული ტექსტის ფრაგმენტი მატენადარანის № 1334 ხელნაწერიდან.

გ) [კურთხევანი] ფრაგმენტი. გადმოწერილია მატენადარანის № 1376 ხელნაწერიდან.

დ) [დანელის „წერის ნიმუშებისათვის“]. ფრაგმენტი, გადმოწერილია მატენადარანის № 1485 ხელნაწერიდან.

ე) [ნაწყვეტი ელიშედან]. გადმოწერილი № 1194 ხელნაწერიდან.

ვ) ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტის ფრაგმენტი მატენადარანის № 1261 ხელნაწერიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 10 ფ.

380. ქართული ბიბლიის (II მეფეთა, I ნეშტთა, II ნეშტთა) ფრაგმენტები. გადმოწერილია მატენადარანის № 1262 ხელნაწერიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 12 ფ.

381. ა) ბიბლიის ქართული ფრაგმენტები მატენადარანის №№ 145, 1320 ხელნაწერიდან.

ბ) საგალობლის ფრაგმენტი მატენადარანის № 21 ხელნაწერიდან.

გ) საკითხავების ფრაგმენტები მატენადარანის № 1304 ხელნაწერიდან.

დ) ქართული ტექსტების ფრაგმენტების საძიებელი მატენადარანის სომხური ხელნაწერებიდან.

ე) [ტექსტის ფრაგმენტი] მატენადარანის № 1376 ხელნაწერიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, ნაწილი ფანქრით, 10 ფ.

382. სია მატენადარანის სომხური ხელნაწერებისა, რომლებშიც თავფურცლებად გამოყენებულია ქართული ხელნაწერების ფურცლები.

უთარილო, ქართულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, 8 ფ.

383. ივდითის წიგნის ქართული ფრაგმენტები. გადმოწერილია მატენადარანის № 1554 ხელნაწერიდან.

უთარილო, ქართულ ენაზე, ავტოგრაფი, 4 ფ.

384. სომეხი მწერლის, ა. შირვანზადეს ნაწარმოების „ცხოვრების ალში“ რამდენიმე ფრაგმენტის თარგმანი.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 14 ფ.

385. ფრაგმენტი თომა არწრუნის თხზულებიდან „არწრუნთა სახლის ისტორია“. ქართულად თარგმნილია ი. აბულაძის მიერ.

უთარილო, ავტოგრაფი, 7 ფ.

386. ამონაწერები იპოლიტეს ქრონიკის შესახებ არსებული ლიტერატურიდან.

უთარილო, უმეტესად გერმანულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 3 ფ.

387. ამონაწერი ილია აბულაძის მიერ დიულორიეს წიგნიდან არაქელ თავრიზელის შესახებ.

უთარილო, ფრანგულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 რვეული, 5 ფ.

388. ამონაწერები რუსული ხელნაწერებიდან. მოსკოვი ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა, ტროიცე-სერგეევის ლავრის ფონდი №№ 304, 680, XVI ს.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვა ხელით, ახლავს ი. აბულაძის შენიშვნები 35 ფ.

389. სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 247 ფ.

ვ) რეცენზიები, სიტყვები, შენიშვნები

390. რეცენზია წიგნზე „საქართველოს თანამედროვე საბჭოთა მწერლობა (ანთოლოგია)“. ერევანი, 1933.

1934 წ. 10 ნოემბერი, ავტოგრაფი, შავი, 22 ფ.

391. რეცენზია ავთანდილ იოსელიანის სადისერტაციო ნაშრომზე „იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ლიტერატურული შემოქმედება, სამოხელეო-პოლიტიკური მოღვაწეობა და მეურნეობა“.

1940 წ. 24 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 რვეული, 8 ფ.

392. რეცენზია გურგენ სევაკის სადისერტაციო ნაშრომზე „მეტყველების ნაწილების შესწავლა“.

[1940 წ.], სომხურ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

393. ი. აბულაძის პასუხი კ. კეკელიძის რეცენზიაზე სადოქტორო დისერტაციის დასაცავად წარდგენილ ნაშრომზე.

[1945 წ.], ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 7 ფ.

394. რეცენზია აპოლონ როგავას სადისერტაციო ნაშრომზე „ანტონ პირველი. „სპეკალი“. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები.

1947 წ. 5 ივნისი, ავტოგრაფი, იგივე ნაბეჭდი, ხელმოწერული, 20 ფ.

395. რეცენზია არმენაკ მურვალის სადისერტაციო ნაშრომზე „სომხური და ქართული ენობრივი მიმართებები“.

1948 წ. 4 აპრილი, თბილისი, ქართულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, სულ 56 ფ.

396. რეცენზია ნათელა კეჭალაძის სადისერტაციო ნაშრომზე „პროკლე დიოდოროსის „კავშირნი“, ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიური ნარკვევი)“.

1948 წ. 12 აპრილი, ავტოგრაფი, 1 რვეული, 7 ფ.

397. ი. აბულაძის რეცენზია ქ. ძონენიძის სადისერტაციო ნაშრომზე „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციების ხელნაწერთა მიხედვით“.

1950 წ. 21 მაისი, ავტოგრაფი, 3 ფ.

398. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ი. აბულაძის სიტყვა ნ. მარის მიმდევართა და მოწინააღმდეგეთა საქმიანობაზე.

[1950 წ.], ავტოგრაფი, 1 რვეული, 10 ფ.

399. რეცენზია ალექსანდრე გვენცაძის სადისერტაციო ნაშრომზე „რიცხვითი სახელი ძველ ქართულში“.

1951 წ. 27 მარტი, ნაბეჭდი, 5 ფ.

400. რეცენზია პოლიკარპე ჯაფანიძის სადისერტაციო ნაშრომზე „ზმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი აღთქმის წიგნების ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით“.

1952 წ. 2 აპრილი, თბილისი, ავტოგრაფი, 1 რვეული, 11 ფ.

401. რეცენზია გივი მაჭავარიანის სადისერტაციო ნაშრომზე „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“.

1953 წ. 21 სექტემბერი, თბილისი ავტოგრაფი, 8 ფ.

402. რეცენზია ა. შანიძის ნაშრომზე „ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია“.

[1953 წ.], ქართულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი, შავი, 5 ფ.

403. რეცენზია თ. ხაჯომიას სადისერტაციო ნაშრომზე „XI საუკუნის ნუსხური დამწერლობის გარდამავალი ხელი“.

1954 წ. 31 იანვარი, თბილისი, ავტოგრაფი, 7 ფ.

404. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე "Рельефы из Шииомгвие и их место в развитии грузинской скульптуры" (შიომღვიმის რელიეფები და მათი ადგილი შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის განვითარებაში).

1954 წ. 10 მარტი, ავტოგრაფი, შავი, 5 ფ.

405. რეცენზია თ. უთურგაძის სადისერტაციო ნაშრომზე „ქართული ენის თუშური კილო“.

1954 წ. 5 აპრილი, თბილისი, ავტოგრაფი, 6 ფ.

406. რეცენზია კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის ნაშრომზე „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი ქართული ლიტერატურა (V-XVIII სს.)“.

1954წ. შენიშვნები ეხება წიგნის I ნაწილს, რომლის ავტორია კ. კეკელიძე.

[1954 წ.], ავტოგრაფი, შავი, 1 რვეული, 18 ფ.

407. რეცენზია ოთარ ურიდიას სადისერტაციო ნაშრომზე „გიორგი ერისთავის ენა“.

1955 წ. 10 მაისი, თბილისი, ავტოგრაფი, 6 ფ.

408. რეცენზია იან ბრაუნის საკანდიდატო დისერტაციაზე "Полиперсонализм грузинского глагола" [ქართული ზმნის მრავალპირიანობა].

1955 წ. 1 ივნისი, თბილისი, ავტოგრაფი, 4 ფ.

409. რეცენზია ლ. შერვაშიძის სადისერტაციო ნაშრომზე "К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре (миниатюры батальной тематики в Джрuchской псалтыри" [შუა საუკუნეების ქართული საერო მინიატურების საკითხისთვის (ბატალური თემატიკის მინიატურები ჯრუჭის ფსალმუნში)].

1955 წ. ავტოგრაფი, 7 ფ.

410. რეცენზია კონსტანტინე გრიგოლიას სადისერტაციო ნაშრომზე „ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I. ახალი ქართლის ცხოვრება“.

1956 წ. 25 მარტი, ავტოგრაფი, 18 ფ.

411. რეცენზია ლატავრა ღვალაძის სადისერტაციო ნაშრომზე „ნარტყუნვაჲ იერუსალჴმისაჲ“-ს ლექსიკონი.

1956 წ. 25 მაისი, ავტოგრაფი, 6 ფ.

412. შენიშვნები პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულის“ შესახებ.

1957 წ. 10 იანვარი, ნაბეჭდი, 2 ეგზემპლარად, 1 ცალი ჩასწორებულია და ხელმოწერილია ი. აბულაძის მიერ. აქვეა ერთი ფურცელი, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნანერი, 45 ფ.

413. რეცენზია ელენე მეტრეველის სადისერტაციო ნაშრომზე „ტიმოთე გაბაშვილი – „მიმოსვლა“.

1957 წ. 31 მარტი, თბილისი, ავტოგრაფი, 7 ფ.

414. რეცენზია ალექსანდრე ფრანგიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „ნარკვევები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII-XIX ს.ს. პირველი მეოთხედი)“.

1957 წ. 22 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 7 ფ.

415. რეცენზია ივანე ლოლაშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „ძველი ქართველი მეხოტბენი, I. ჩახრუხაძე – ქება მეფისა თამარისი“.

1958 წ. 27 აგვისტო, ავტოგრაფი, უყდო რვეული, იგივე ნაბეჭდი, ხელმოუწერელი, 16 ფ.

416. რეცენზია მერი გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „ვეფ-ხისტყაოსნის“ პროლოგის საკითხისათვის“.

1958 წ. 2 სექტემბერი, თბილისი, ავტოგრაფი, 1 რვეული, 11 ფ.

417. რეცენზია ლეონ ხაჩიაკიანის სადოქტორო ნაშრომზე „XV საუკუნის სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები“.

[1959-1960 წწ.], სომხურ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ეგზემპლარად, 18 ფ.

418. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა.

1960 წ. 18 ნოემბერი, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი, 2 ცალად, 5 ფ.

419. რეცენზია მანანა კელენჯერიძის სადისერტაციო ნაშრომზე „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII-XIX საუკუნეებისა“.

1961 წ. ავტოგრაფი, შავი, იქვე ნაბეჭდი, ხელმოუწერელი, 14 ფ.

420. სიტყვა დანერგილი სომხეთის გასაბჭოების 40 წელთან დაკავშირებით.

[1961 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, იქვე დაბეჭდილი, 4 ფ.

421. რადიოში წარმოთქმული სიტყვა კორნელი კეკელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1962 წ. 10 ივნისი, ავტოგრაფი, 2 ფ.

422. შენიშვნები ს. ენუქაშვილის სადისერტაციო ნაშრომზე. აქვეა „მოსახსენებელი“ გადმოწერილი 1400 წლის № 784 სომხური ხელნაწერიდან და ამონაწერები ათონური № 12, № 17, № 11 ხელნაწერებიდან.

1963 წ. 21 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 ბლოკნოტი, 45 ფ.

423. რეცენზია მაყვალა მირზაშვილის სადისერტაციო ნაშრომზე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ენა“.

1965 წ. 25 ნოემბერი, თბილისი, ნაბეჭდი, 7 ფ.

424. რეცენზია გ. ვ. აბგარიანის სადისერტაციო ნაშრომზე "История Себеоса и проблема анонима" [სებეოსის ისტორია და ანონიმის პრობლემა]. 1964.

1966 წ. 25 აპრილი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი 2 ეგზემპლარად, ხელმოწერილი, 12 ფ.

425. შენიშვნები [ლილი ბარამიძის] სადისერტაციო ნაშრომზე.

1966 წ. 21 მაისი, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი, 5 ფ.

426. შენიშვნები ს. ენუქაშვილის ახალი შრომის „ქართული არეოპაგიტის რამდენიმე საკითხის“ შესახებ.

1967 წ. 27 მარტი, ავტოგრაფი, იგივე ნაბეჭდი, 2 ცალად, 28 ფ.

427. გამოსხაურება ი. შილაკაძის ნაშრომზე "Конъюгационные категории современного армянского языка" (თანამედროვე სომხური ენის კონიუგაციური კატეგორიები). ერევანი, 1964.

1967 წ. 31 აგვისტო, თბილისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი, 6 ფ.

428. შენიშვნები ვაჟა გვახარიას წიგნზე „მიქელ მოდრეკილის ჰიმნები“.

[1967 წ.], ავტოგრაფი, შავი, 4 ფ.

429. შენიშვნები მზია ანდრონიკაშვილის ახალი შრომის შესახებ „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“.

[1967 წ.], ავტოგრაფი, 20 ფ.

დაბეჭდილია: „მაცნე“, № 3, 1968 ; ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976.

430. შენიშვნა პარუიერ მურადიანის ნაშრომზე "Армянская надпись Храма Джвари" [ჯვრის ტაძრის სომხური წარწერა].

1968 წ. 5 აპრილი, ავტოგრაფი, აქვე ნაბეჭდი, 29 ფ.

431. ი. აბულაძის მოხსენებითი ბარათი ი. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის ზაზა ალექსიძის სადისერტაციო ნაშრომის („ეპისტოლეთა წიგნის“) შესახებ.

პირი: დ. ჯანაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ი. გაგოშიძე.

1968 წ. 23 სექტემბერი, ავტოგრაფი, აქვე მანქანაზე ნაბეჭდი, 13 ფ.

432. შენიშვნა ვ. ა. ბდოიანის სადისერტაციო ნაშრომზე "Земледельческая культура в Армении" [სამინათმოქმედო კულტურა სომხეთში].

1968 წ. ავტოგრაფი, შავი, 12 ფ.

433. შენიშვნა პ. მურადიანის ნაშრომზე "Армянская надпись храма" [ჯვრის ტაძრის სომხური წარწერა].

1968 წ. ავტოგრაფი, თანაკლული, 9 ფ. ნაბეჭდი 2 ეგზემპლარად, 26 ფ.

რუსულ ენაზე – სტამბურად ნაბეჭდი, საკორექტურო – 19 ფ.

სხვა ხელით – 49 ფ. ნაბეჭდი – 27 ფ. სულ 130 ფ.

დაბეჭდილია: „მაცნე“, № 4, 1968 ; შრომები, ტ. IV, 1985.

434. მისასალმებელი სიტყვა აკად. არნოლ ჩიქობავას დაბადებიდან 70 და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

[1968 წ.], ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ჩასწორებული, იგივე ნაბეჭდი, 4 ფ.

435. მისალოცი სიტყვა ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 1 ფ.

436. სიტყვა წარმოთქმული ამიერკავკასიის ერთა მეგობრობისადმი მიძღვნილ საღამოზე რუსთაველის თეატრში.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

437. მისასალმებელი სიტყვა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მუშაკებს.

უთარილო, ავტოგრაფი, 4 ფ.

438. ა. მურვალიანის საგაზეთო სტატია ი. აბულაძის „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები IX-X საუკუნეებში“ – შესახებ.

უთარილო, სომხურ ენაზე, 1 ფ.

ზ) მიმართვები და განცხადებები

439. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის მიმართვა ი. აბულაძეს.

სთხოვენ ოპონენტობა გაუწიოს გ. სევაკის ნაშრომს "Учение о частях речи".

1940 წ. 12 დეკემბერი, ერევანი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

440. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის დირექციის მიმართვა ი. აბულაძეს.

სთხოვენ გადაათვალიეროს ინსტიტუტის მიერ გამზადებული „თანამედროვე სომხური ენის მოკლე განმარტებითი ლექსიკონის“ საცდელი გამოცემა და ინსტიტუტის დირექციას მიაწოდოს თავისი შენიშვნები.

1944 წ. 30 ივნისი, ერევანი, სომხურ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, ხელს აწერენ ინსტიტუტის დირექტორი მ. ლარიბიანი და სწავლული მდივანი რ. გრიგორიანი, 1 ფ.

441. ი. აბულაძის განცხადება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების“ რედაქტორს, უნივერსიტეტის რექტორს აკად. ნ. კეცხოველს პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგის „ახსნა-განმარტების“ თაობაზე.

პირი: ი. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი.

1949 წ. 9 დეკემბერი, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, 4 ფ.

442. ი. აბულაძის განცხადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. გ. ციციშვილის სახელზე ხელნაწერთა ინსტიტუტის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის მუშაობასთან დაკავშირებით.

პირი: თ. დოქსოპულო, ი. გვერდნითელი.

1961 წ. 27 დეკემბერი, ავტოგრაფი, შავი, იქვე ნაბეჭდი, 2ფ.

443. ი. აბულაძის განცხადება საქართველოს კულტურის მინისტრს დ. ჩხიკვიშვილს.

შეიცავს შენიშვნებს იუნესკოს მომართვაზე „ბალავარიანის“ თარგმნის შესახებ.

[1962-1963 წწ.], ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

444. ანგარიში, გამოგზავნილი „იუნესკოს“ მიერ 1961 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (იგულისხმება „ბალავარიანის“ შესავალი).

1963 წ. 23 აპრილი, პარიზი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

445. პარიზის ტექსტების კვლევისა და ისტორიის ინსტიტუტის მიმართვა ი. აბულაძეს – აცნობებენ, რომ გამოუგზავნეს ათონის ხელნაწერის მიკროფილმი.

პირი: გლენისონი

ტოპონიმი: თბილისი.

1964 წ. 23 ნოემბერი, პარიზი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, ხელს აწერს დირექტორი გლენისონი, 2 ფ. 1 კონვერტი.

446. უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიმართვა (№ 49107) ი. აბულაძეს.

სთხოვენ ი. შილაკაძის სადოქტორო დისერტაციაზე რეცენზიის დაწერას.

1967 წ. 27 მარტი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

447. საგამომცემლო ხელშეკრულება დადებული სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორ ე. მაღრაძესა და ი. აბულაძეს შორის ელიშე ჩარენცის „ნაირის ქვეყნის“ ქართული თარგმანის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

1967 წ. 23 ივნისი, ნაბეჭდი, 2 ფ.

448. ი. აბულაძის განცხადება თსუ ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ა. ურუშაძის სახელზე იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ გაუწევს ოპონირებას ვ. გვახარიას ნაშრომს „ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის საფუძვლები“.

1967 წ. 20 ივლისი, ავტოგრაფი, 1 ფ.

449. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიმართვა ი. აბულაძის სახელზე.

სთხოვენ წარმoadგინოს მოსაზრებები და შენიშვნები მათ მიერ შედგენილ სამუშაო პროექტზე. აქვე პროექტის „განმარტებისთვის“.

პირი: გ. წერეთელი, ს. ცაიშვილი (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი).

1968 წ. 28 მაისი, ნაბეჭდი, 4 ფ.

450. ი. აბულაძის განცხადება ი. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის გ. მელიქიშვილის სახელზე.

სთხოვს, რომ გამოაქვეყნოს „მოხსენებითი ბარათი“ ზაზა ალექსიძის ნაშრომის დასაცავად.

1968 წ. 23 სექტემბერი, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით, 1 ფ.

ი. აბულაძის ხელმოწერით.

451. ი. აბულაძის განცხადება ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციის სახელზე თანამდებობიდან გათავისუფლებისა და პენსიაზე გასვლის შესახებ.

1968 წ. 7 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 ფ.

452. ი. აბულაძის განცხადება ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციის სახელზე.

ითხოვს შვებულების გაგრძელებას.

1968 წ. 9 ოქტომბერი, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

453. ი. აბულაძის მიმართვა სომხეთის მთავრობას.

აცნობებს, რომ ქართულიდან სომხურად თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა და მისი იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე-სიცრუისა“. სთხოვს, რომ სომხურმა ბეჭდვითმა ორგანოებმა 1940 წლის გეგმაში შეიტანონ აღნიშნული ნაწარმოები.

უთარილო, სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

თ) ილია აბულაძის ნაშრომთა სიები, მეცნიერული მუშაობის ანგარიშები და რეცენზიები მის ნაშრომთა შესახებ

454. ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის გამომხაურება ი. აბულაძის სამეცნიერო შრომებზე.

1940 წ. 15 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ი. ჯავახიშვილის და ა. შანიძის ხელმოწერით.

455. ი. აბულაძის სამეცნიერო შრომების სია.

1940 წ. 15 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

456. ი. აბულაძის ანგარიში სადოქტორო დისერტაციაზე გაწეული მუშაობის შესახებ (1941 წ. 1 ივლისი-1942 წ. 31 მარტი).

1942 წ. 7 მაისი, თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

457. ა. შანიძის გამომხაურება ი. აბულაძის მიერ 1941 წლის 1 ივლისიდან 1942 წლის 31 მარტამდე ჩატარებულ სამეცნიერო მუშაობაზე.

1942 წ. 11 მაისი, თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

458. ლ. მელიქსეთ-ბეგის რეცენზია ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში“.

გამოკვლევა და ტექსტები.

1945 წ. 5 მარტი, ნაბეჭდი, მელიქსეთ-ბეგის ხელმოწერით, 9 ფ.

459. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რეცენზია ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში“.

1945 წ. 21 აპრილი, ნაბეჭდი, ს. ყაუხჩიშვილის ხელმოწერით, 4 ფ.

460. კ. დონდუას რეცენზია ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართულ-სომხურ ლიტერატურული ურთიერთობა IX-X ს.ს. გამოკვლევა და ტექსტები“.

[1945 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

461. ი. აბულაძის შრომების სია ორ ცალად.

1950 წ. 22 ნოემბერი, თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

462. ი. აბულაძის მონოგრაფიებისა და მეცნიერული შრომების სია.

1953 წ. 3 თებერვალი, თბილისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, იქვე ნაბეჭდი, 7 ფ.

463. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. აბულაძის 1956 წლის მუშაობის ანგარიში.

პირი: ლ. ღვალაძე, კ. გრიგოლია, ნ. ჯანაშია, ც. ქურციკიძე.

1957 წ. 14 იანვარი, ნაბეჭდი, ი. აბულაძის ხელმოწერით, 2 ფ.

464. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. აბულაძის მიერ 1958 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

პირი: მ. გუგუშვილი, ი. ლოლაშვილი, ნ. ცაგარეიშვილი (ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი), ვ. ცინცაძე (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის ასპირანტი), ვ. მარტიროსიანი (სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი).

1958 წ. ავტოგრაფი, 2 ფ.

465. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. აბულაძის 1960 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

პირი: მ. რაფავა.

1960 წ. ავტოგრაფი, ნაბეჭდი, 3 ფ.

466. ი. აბულაძის განცხადება წარდგენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

პირი: ზ. ალექსიძე.

1964 წ. ნაბეჭდი, ი. აბულაძის ხელმოწერით, 1 ფ.

467. ი. აბულაძის მიერ 1966 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

[1966 წ.], ნაბეჭდი, ასლი, ხელმოუწერელი, 1 ფ.

468. ილია აბულაძის სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო შრომების სია.

1967 წ. ავტოგრაფი, 4 ფ.

469. ი. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომის ანგარიში:

1) ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები – „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყაროები (1936-1966 წწ.).

2) იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (1938 წ.).

3) ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს. (1944 წ.).

4) „ვარლამისა და იოდასაფის ქართული რედაქციები“ (1957 წ.).

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 7 ფ.

III

მიმონარა

ა) ილია აბულაძის წერილები სხვადასხვა პირთან

ანდრონიკაშვილი ირაკლი

470. ატყობინებს, რომ თუ უახლოეს მომავალში ვერ მიიღებს დადებით პასუხს ე. ვეიდენბაუმის მასალის რედაქტირებასთან დაკავშირებით, ინსტიტუტი იძულებული იქნება გააუქმოს მასთან დადებული ხელშეკრულება.

პირი: რ. დვალი (საქ. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი).

[1962 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოუწერელი, ასლი.

471. ატყობინებს, რომ ვინაიდან მან არ გააკეთა ე. ვეიდენბაუმის ნაშრომის რედაქტირება, ხელნაწერთა ინსტიტუტი წყვეტს მასთან დადებულ შეთანხმებას. თუ ერთი თვის მანძილზე არ დააბრუნებს გაგზავნილ მასალას და წინასწარ აღებულ 1200 მანეთს, საქმე მართლმსაჯულებას გადაეცემა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

ასფალგი იულიუს

472. სთხოვს გამოუგზავნოს იენსენის ძველი სომხური ენის გრამატიკა და ვენეციაში 1881 და 1899 წწ. გამოცემული წიგნები; უგზავნის აპოკრიფებსა და „ბანბერს“ № 3.

1959 წ. 30 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

473. აცნობებს, რომ უგზავნის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბეს“ № 2 და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბეს“ № 2; სთხოვს გაუგზავნოს მიუნხენში 1959 წელს გამოცემული ჰ. ბეკის „ეკლესია და თეოლოგიური ლიტერატურა“.

1960 წ. 29 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

474. აცნობებს, რომ მის მიერ გაგზავნილი ძველი ქართული ნაწერები VI ს-ის მოღვაწის ალექსანდრე კვიპრელის ნაწარმოების „საკითხავი პოენისათჳს პატიოსნისა და ცხოველს-მყოველისა ჯუარისა“ ... ფრაგმენტებს წარმოადგენს.

1961 წ. 26 აგვისტო, თბილისი, ნაბეჭდი, ხელმოწერული, 6 ფ.

475. გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ იბეჭდება ი. ასფალგის მიერ შედგენილი აღმოსავლური ხელნაწერების აღწერილობა; მადლობას უხდის ბიბლიის წიგნთა გამოწერისთვის; ჰპირდება, რომ ყოველთვის მიაწვდის საჭირო ლიტერატურას.

1962 წ. 12 მარტი, ნაბეჭდი, 1 ფ.

აფაქიძე ანდრია

476. აცნობებს, რომ ავადმყოფობის გამო არ შეუძლია რეცენზიის დაწერა.

[1968 წ.], ავტოგრაფი, შავი, ფანქრით, 1 ფ.

ბუსე გიზელა ფონ

477. მადლობას უხდის „Hirmologion“-ის გამოგზავნისთვის; სთხოვს აცნობოს, რა გამოცემები სჭირდება მას.

პირი: ი. ასფალგი.

1965 წ. 1 ნოემბერი, რუსულ ენაზე, შავი, 4 ფ.

გარიტი ჟერარ

478. მადლობას უხდის გამოგზავნილი წიგნებისათვის. სწერს, რომ მალე მიაწვდის ახალ წიგნებს, მათ შორის ჰ. ანასიანის „სომხურ ბიბლიოლოგიას“.

1959 წ. 17 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 ფ.

479. გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ მიიღებს ჟ. გარიტის მიერ გამოცემულ ლექციონარს და „იერუსალიმის წარტყვენვას“; სთხოვს გამოუგზავნოს სინას არაბულ კოლექციაში დაცული იოანე მოსხის „ლიმონარის“ მიკროფილმი, ჰპირდება, რომ მოკლე ხანში გაუგზავნის ახალ წიგნებს, მათ შორის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბეს“ № 2.

1960 წ. 11 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

480. წუხს იმის გამო, რომ ამანათი სტატიებით მიიღო, წიგნები კი – ჯერ არა. აცნობებს, რომ უძველესი წუსხების მიხედვით გამოსაქვეყნებლად ამზადებს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“. ასევე ბეჭდავს მასალებს იერუსალიმის ქართული

კოლონიის ისტორიის შესახებ. ჰპირდება, რომ მალე გაუგზავნის ახლად-გამოცემულ წიგნებს.

1962 წ. 12 მარტი, ნაბეჭდი, 1 ფ.

481. წერილი ძირითადად ეხება იპოლიტე რომაელის ნაწარმოებს „დავითისა და გოლიათისათვის“; ურჩევს, რომ თხოვნით მიმართოს მატენაძე-რანის ღირეცუას, რათა გაუგზავნონ № 3795 ხელნაწერის მიკროფილმი; ჰპირდება „მოამბეს“, რომელშიც დაბეჭდილი იქნება „40 სებასტიანელთა მარტილობის“ ორი ძველი რედაქცია.

1962 წ. 20 ნოემბერი, ნაბეჭდი, 2 ფ.

482. მადლობას უხდის აფრაატის საუბართა შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომის ამონაბეჭდების გამოგზავნისთვის.

1965 წ. 1 თებერვალი, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

483. ჰპირდება, რომ მალე გაუგზავნის იპოლიტე რომაელის ნაწარმოებთა მიკროფილმს და ენიშნის მოამბეს № 8. აცნობებს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს „მრავალთავეს“ – A 95, A 1109, A 144 ხელნაწერთა მიხედვით.

1967 წ. 4 აპრილი, ავტოგრაფი, 1 ფ.

ღვალი რაფიელ

484. სთხოვს, რომ გაათავისუფლონ ხელნაწერთა ინსტიტუტის ღირეც-ტორის თანამდებობიდან.

1967 წ. 19 ოქტომბერი, თბილისი, ავტოგრაფი, 1 ფ. 1 კ.

ვეფხვაძე გიორგი

485. სთხოვს აცნობოს, თუ არსებობს თვალის ატროფიის წამალი, რომელიც თავის ძმისშვილს, ნოდარ აბულაძეს, ესაჭიროება.

1968 წ. 14 იანვარი, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

კაკაბაძე სერგი

486. აცნობებს, რომ არავითარი ხელშეკრულება არ დაუდვიათ მას და ს. კაკაბაძეს საქართველოს ერთიანობის ხანის საბუთების გამოცემასთან დაკავშირებით.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 ფ.

კლიმოვი გიორგი

487. აცნობებს, რომ 1188 წლის ერთ ხელნაწერში A 65 გვხვდება სიტყვა „კატა“.

1966 წ. 16 აგვისტო, თბილისი, ავტოგრაფი, 1 ფ. 1 კ.

ლანგი დავით

488. აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი ბრიტანეთის მუზეუმის წიგნების ნუსხასთან ერთად; ჰპირდება, რომ დახმარებას გაუწევს „ბალავარიანის“ თარგმნის საქმეში.

1961 წ. 1 აგვისტო, თბილისი, ნაბეჭდი, 1 ფ.

489. სწერს, რომ დაასრულა შესავალი წერილი „ბალავარიანის“ ქართული ვერსია“. აცნობებს, რომ მალე დაიბეჭდება „ბალავარიანის“ რუსული თარგმანი.

1962 წ. 25 აგვისტო, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, 2 ფ.

მალრაძე ელგუჯა

490. სთხოვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისთვის გაკეთებული დანართისათვის ჰონორარის ნაწილს; აცნობებს, რომ მონაწილეობას იღებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შედგენაში და განუვლი სამუშაოსათვის სთხოვს ცალკე ჰონორარს.

პირი: ა. შანიძე.

[1965-1966 წწ.], ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

რიშარი მარსელ

491. სწერს, რომ მისგან მიიღო წერილი და „ბიულეტენები“; აცნობებს, რომ 2 თვის წინ გაუგზავნა „გეორგიკა“-ს I ტომი; ამჯერად წერილთან ერთად უგზავნის S 1141 ხელნაწერის (314-339 გვ.) მიკროფილმს.

[1962 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოუწერელი, 1 ფ.

სალატი რუდოლფ

492. აცნობებს, რომ თანახმაა დაწეროს „ბალავარიანის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა.

პირი: დავით ლანგი.

1961 წ. 2 სექტემბერი, თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოუწერელი, 1 ფ.

493. უგზავნის „ბალავარიანის“ წინასიტყვაობას და სთხოვს, რომ სტატია ინგლისურად „ბალავარიანის“ ტექსტის მთარგმნელმა გადათარგმნოს.

1963 წ. 19 მარტი, თბილისი-პარიზი, რუსულ ენაზე, შავი, 1 ფ.

ფოტო ჰანს

494. გამოთქვამს გულისტკივილს იმის გამო, პროფესორმა ვერ შეძლო საქართველოში ჩასვლა; ჰპირდება, რომ უგზავნის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბეს“ № 2; სთხოვს ახალ გამოცემებს.

1960 წ. 10 ნოემბერი, ნაბეჭდი, 1 ფ.

495. აცნობებს, რომ შეასრულა მისი თხოვნა და სხვებთანაც გადაამოწმა როგორც სომხური, ისე ქართველური ენების მასალა.

[1960 წ.], ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

496. აცნობებს, რომ ესაუბრა ა. ჩიქობავას მისთვის საინტერესო საკითხებზე; უგზავნის ა. ჩიქობავას წერილს, სტატიის ამონაბეჭდსა და გ. მე-ლიქიშვილის ახალ წიგნს.

1961 წ. 2 თებერვალი, ნაბეჭდი, 1 ფ.

497. მადლობას უხდის გამოგზავნილი სურათებისთვის. სთხოვს, რომ ჰოლანდიელ მეცნიერებს ჰკითხოს, სარწმუნოა თუ არა ერევნის ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ჰოლანდიელი არქეოლოგების მიერ იერუსალიმის მახლობლად სომხური ასოებით ნაწერი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI ს-ით დათარიღებული ხელნაწერების აღმოჩენის შესახებ.

1968 წ. 18 აპრილი, თბილისი, ავტოგრაფი, 1 ფ.

ქავთარია მიხეილ

498. კერძო ხასიათის.

1965 წ. 30 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 ფ.

499. უგზავნის ნ. კანდელაკის წიგნს, რომელიც მას სარედაქციოდ ჰქონდა გადაცემული, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო რედაქტირება. სთხოვს დაუბრუნოს წიგნი გამომცემლობას, ან საკუთარ თავზე აიღოს მისი გამართვა.

1968 წ. 9 ოქტომბერი, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

ქურდიანი იაკობ

500. სწერს, რომ უგზავნის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის 6 ტომს და მალე მიაწვდის ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის 2 ტომს. აცნობებს, რომ მის მიერ გამოგზავნილი წიგნები ჯერ არ მიუღია.

[1961 წ.], თბილისი, ვიჩიტა (კანზასის შტატი) სომხურ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

შმიდტი კ. ნ.

501. აცნობებს, რომ უგზავნის აგიოგრაფიული ნაწარმოების ტექსტს A 95 „მრავალთავიდან“.

1960 წ. 15 ოქტომბერი, ავტოგრაფი, 1 ფ.

502. ი. აბულაძის წერილი ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლური წიგნებისა და ხელნაწერების განყოფილებას.

მადლობას უხდის წიგნების გამოგზავნისათვის; ჰპირდება ხელნაწერთა ინსტიტუტის რამდენიმე ახალი გამოცემის გაგზავნას.

1962 წ. 19 მაისი, თბილისი-ლონდონი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1კ.

503. ი. აბულაძის მიმართვა „Армкнигторг“-ის მმართველს.

სთხოვს გამოუგზავნონ მიმდინარე წლის განმავლობაში გამოცემული წიგნები. მოსდევს წიგნების ჩამონათვალი.

[1966 წ.], თბილისი-ერევანი, რუსულ და სომხურ ენებზე, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

ბ) სხვადასხვა პირის წერილები ილია აბულაძეს

აბულაძე ამბროსი

504. კერძო ხასიათის.

1965 წ. 17 თებერვალი, ზესტაფონი, ავტოგრაფი, 1 ფ. 1 კ.

აბულაძე გურამ

505. კერძო ხასიათის.

პირი: ავთანდილ, ნოდარ [აბულაძეები].

1963 წ. 30 ივნისი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

აბულაძე ვლადიმერ (მამა)

506. კერძო ხასიათის.

1958 წ. 8 ივნისი, ზესტაფონი (სოფ. ზედა საქარა), ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 1 ფ. 1 კ.

ალბარედა ანსელმო

507. გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკას შორის ინყება პუბლიკაციათა გაცვლა – გამოცვლა.

ტოპონიმი: თბილისი.

1959 წ. 12 მაისი, ვატიკანი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

508. აცნობებს, რომ მიიღო იოანე მოსხის „ლიმონარი“ და „მოამბე“ (ტ. I, 1960).

ტოპონიმი: თბილისი.

1960 წ. 19 ივლისი, ვატიკანი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ. 1კ.

509. აცნობებს, რომ მიიღო ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I.

ტოპონიმი: თბილისი.

1960 წ. 20 სექტემბერი, ვატიკანი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ. 1 კ.

510. აცნობებს, რომ მიიღო მზექალა შანიძის მიერ გამოცემული „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XVI საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით“ და „მოამბე“, ტ II.

პირი: მ. შანიძე

ტოპონიმი: თბილისი.

1960 წ. 15 დეკემბერი, ვატიკანი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

511. ადასტურებს, რომ მიიღო შემდეგი წიგნები „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, "Материалы по истории южной Грузии (XV-XVII вв.)".

ტოპონიმი: თბილისი.

1961 წ. 7 ნოემბერი, ვატიკანი, ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ. 1კ.

ანდრონიკაშვილი ირაკლი

512. მიესალმება ე. ვეიდენბაუმის არქივის კარტოთეკის შექმნის დაწყებას. სთავაზობს შესასრულებელი სამუშაოს გეგმას.

1958 წ. 13 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 3 ფ.

513. სწერს, რომ ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკის გამოცემისთვის საჭიროა მასალის გადაბეჭდვა.

პირი: ე. მეტეველი, თ. მაჭავარიანი.

1959 წ. 15 ნოემბერი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1კ.

514. აცნობებს, რომ ე. ვეიდენბაუმის საარქივო მასალის რედაქტირებას შემოდგომაზე დაასრულებს.

პირი: ე. მეტრეველი.

1962 წ. 16 აპრილი, მოსკოვი-თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

515. ბოდიშს უხდის, რომ ვერ შეასრულებს დაპირებულ სამუშაოს – ე. ვეიდენბაუმის ბიოგრაფიული ლექსიკონის შედგენას. სთხოვს ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნებას 1964 წლის 1 იანვრამდე.

1963 წ. 6 მარტი, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

516. სთხოვს, რომ ე. ვეიდენბაუმის ბიოგრაფიული ლექსიკონის შედგენის შეწყვეტის გამო, ავანსიდან 200 მანეთის დაბრუნების შემდეგ დარჩენილი თანხის გადახდის ვადა მიმდინარე წლის ბოლომდე გაუგრძელონ.

1963 წ. 12 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

517. ანურადჰაპურის (ცეილონი) საჯარო ბიბლიოთეკის წერილი ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

სთხოვენ, რომ პერიოდულად გაუგზავნონ ინსტიტუტის გამოცემები და მიაწოდონ მასალები სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის შესახებ.

1964 წ. 30 მარტი, ანურადჰაპური, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერა არ იკითხება, 1 ფ. 1კ.

ასფალგი იულიუს

518. აცნობებს, რომ მიიღო ხელნაწერთა კატალოგი და ეფრემ მცირის თხზულება; ჰპირდება, გაუგზავნოს თავისი შრომები ქართულ თემებზე და ქართული ტექსტების დამოკიდებულების შესახებ ბერძნულ, სომხურ და სირიულ ტექსტებთან; სწერს, რომ იედლიჩკასთან ერთად გერმანულ ჟურნალებში აგზავნის ბიბლიოგრაფიულ დამატებებს თბილისში გამოცემული მნიშვნელოვანი შრომების შესახებ.

პირი: ა. შანიძე, ჰ. იენსენი.

1959 წ. 3 ივნისი, აშაუ, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ. 1 კ,

519. აცნობებს, რომ გამოუგზავნა ალტანერის და დელგერის წიგნები; სწერს, რომ დაინტერესებულია ძველი სომხური და ქართული ეკლესიის ისტორიით და სთხოვს, რომ გაუგზავნოს სათანადო ლიტერატურა.

პირი: [ბოიერი], [იმნაიშვილი].

ტოპონიმი: მიუნხენი.

1959 წ. 11 ივნისი, აშაუ, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

520. გამოთქვამს სურვილს, რომ გააცნოს დასავლეთ გერმანიის მეცნიერებს ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემები; სწერს, რომ ქართული ტექსტების ბეჭდვა წინასწარმეტყველთა შესახებ მიუწხენში მთავრდება.

პირი: ვოლფგანგ ფოიტი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, მ. თარხნიშვილი.

ტოპონიმი: მარბურგი, პარიზი.

1959 წ. 6 ივლისი, აშაუ, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

521. მადლობას უხდის ი. ჯავახიშვილის IV ტომის და ქ. შარაშიძის ნაშრომის „პირველი სტამბა“ მიღების გამო; სთხოვს გაუგზავნოს ი. ჯავახიშვილის თხზულებათა სხვა ტომებიც; აცნობებს, რომ უგზავნის შემდეგ წიგნებს: მოლიტორი – "Monumenta; septuaginta, I, II; Akinian, Ephram"; მადლობას უხდის მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან გაცვლა-გამოცვლითი საქმიანობის დაწყების გამო და იმედოვნებს, რომ ეს ბიბლიოთეკა თანდათან ქართული ლიტერატურის ცენტრად განვითარდება გერმანიაში.

1959 წ. 3 აგვისტო, აშაუ, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი,

აქვეა წერილის ქართული თარგმანი, ხელმოწერილი, 2ფ.

522. მადლობას უხდის სულხან-საბა ორბელიანის წიგნისა და სხვა შრომების გამო; სწერს, რომ აინტერესებს ც. ქურციკიძის წიგნი „ქართული ვერსიები აპოკრიფებისა და მოციქულთა შესახებ“; აცნობებს, რომ ა. შანიძისგან მიიღო წიგნი „ქართლის ცხოვრება“ (II ტ.) და „სინას მრავალთავი“ (864 წ.); კითხულობს, გვხვდება თუ არა ქართულ მწერლობაში ანტიისლამური პოლემიკის ნიმუშები.

პირი: მ. თარხნიშვილი.

1959 წ. 9 ოქტომბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი,

ხელმოწერილი, 1 ფ.

523. მადლობას უხდის მიღებული წიგნებისათვის; აცნობებს, რომ გამოუგზავნა იენსენის „ძველი სომხური ენის გრამატიკა“; ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის საჭირო წიგნები შეუკვეთა ვენეციაში; სთხოვს გაუგზავნონ კ. კეკელიძის ნაშრომები გერმანულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგიზაციისათვის.

1959 წ. 10 ნოემბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ. 1 კ.

524. მადლობას უხდის იოანე მოსხის „ლიმონარის“ გაგზავნისათვის; სწერს, რომ მიწვეულია მოსკოვში ორიენტალისტთა კონგრესზე.

1960 წ. 18 მაისი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

1 კ. აქვს წარწერა ბანდეროლზე, რომელიც ი. ასფალგს ი. აბულაძისთვის გაუგზავნია 1960 წლის 12 იანვარს.

525. მადლობას უხდის თბილისში გატარებული სამახსოვრო დღეებისათვის და ყურადღებისათვის. სწერს, რომ გამოუგზავნის ინსტიტუტისთვის საჭირო წიგნებს. აინტერესებს, აქვეყნებს თუ არა ხელნაწერთა ინსტიტუტი საეკლესიო-ისტორიულ დოკუმენტებს.

პირი: კ. შმიდტი, ა. შანიძე, ე. მეტრეველი, ი. მეგრელიძე.

1960 წ. 11 სექტემბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

526. მადლობას უხდის ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისათვის. ატყობინებს, რომ უშოვის გ. ჰერდანის წიგნს "Type – Token Mathematics". სწერს, რომ დაიწყო გერმანიაში არსებული ქართული ხელნაწერების კატალოგიზაცია და სთხოვს დახმარებას. თან ურთავს რამდენიმე კითხვას.

პირი: მ. შანიძე

1961 წ. 15 აპრილი მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, თარგმანი რუსულ ენაზე, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის ე. ბარნაველის მიერ შესრულებული, ხელმოწერილი, 2 ფ. 1 კ.

527. აცნობებს, რომ გარკვეული ცნობები ქართული ხელნაწერების შესახებ ჯერ არ მიუღია; სწერს, რომ გამოუგზავნა ხელნაწერთა ინსტიტუტს გ. ჰერდანის წიგნი; სთხოვს გაუგზავნონ ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები; ატყობინებს, რომ მიუნხენის უნივერსიტეტში მიიღეს დოცენტის თანამდებობაზე ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ კათედრაზე; აღნიშნავს, რომ საჯარო ლექციის კითხვის დროს ქართველ მეცნიერთა შრომების შესახებაც ისაუბრა; სექტემბრამდე განზრახული აქვს ქართული, სომხური და სირიული ხელნაწერების კატალოგის დამთავრება; მადლობელი იქნება, თუ 15 აპრილის წერილში დასმულ შეკითხვებზე პასუხებს მიიღებს.

ტოპონიმი: თბილისი.

1961 წ. 2 აგვისტო, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, აქვეა წერილის რუსული თარგმანი, ხელმოწერილი, 2 ფ. 1 კ.

528. მადლობას უხდის მიღებული წიგნებისათვის; აცნობებს, რომ გამოუგზავნა „ბედი ქართლისა“-ს უკანასკნელი ნომერი; სწერს, რომ ამჟამად ადგენს ქართული, სომხური და სირიული ხელნაწერების კატალოგს.

პირი: თ. ჭყონია.

1961 წ. 23 ნოემბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

529. მადლობას უხდის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის აღწერილობის II ტომისა და „მოამბის“ III ტ. გაგზავნისათვის; აცნობებს, რომ პარიზში გამოსაცემად შეუკვეთა „თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთა“

ტექსტი; სწერს, რომ წლის ბოლოს გერმანიაში არსებული ქართული, სომხური და სირიული ხელნაწერების კატალოგები გამოიცემა.

ტოპონიმი: გერმანია, ვისბადენი.

1962 წ. 25 თებერვალი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

530. სთხოვს, დახმარება გაუწიოს ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ზოგიერთი ქართული ფრაგმენტის განმარტებაში; აპირებს გამოგზავნოს ზოგიერთი ხელნაწერის ფოტო და სთხოვს დაეხმაროს მათ დათარიღებაში.

პირი: გ. ფერაძე, მოლიტორი, ბამბერგი.

1962 წ. 23 აპრილი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

531. სთხოვს გაუკეთოს კორექტურა გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგს, უგზავნის თავისი კატალოგიდან 19 ფოტოს და სთხოვს მათ დათარიღებას; ახლავს ამონაწერი ქართულ ენაზე.

1962 წ. 25 მაისი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 3 ფ. 1 კ.

532. მაღლობას უხდის კატალოგის კორექტურისთვის; ვარაუდობს, რომ ნუსხა 3-ში არსებული ფრაგმენტი XI საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს და მის ხელთ არსებული ლაიპციგისა და კემბრიჯის ფრაგმენტი პროჰორის ხელნაწერის წარწერებს უნდა წარმოადგენდნენ.

პირი: პ. პეტერსი.

ტოპონიმი: პარიზი, ოქსფორდი.

1962 წ. 26 ივნისი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

533. მაღლობას უხდის ქართული კატალოგის კორექტურისთვის და ე. მეტრეველის, ლ. მენაბდის წიგნების გაგზავნისთვის; სწერს დანვრილებით იოანე მოსხის "Prutum spirituale"-ის არაბული მიკროფილმის შესახებ; აცნობებს, რომ ლაიპციგის ხელნაწერში (1094) აღმოჩნდა წმ. არტემის წამების მეტაფრასული ნაწყვეტი, რომელიც სხვა ქართული ტექსტებში არ დასტურდება.

პირი: გაბრიელი გერმანუს ფარჰატი.

ტოპონიმი: პარიზი, ლაიპციგი.

1962 წ. 6 ოქტომბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ. 1 კ.

534. სწერს, რომ მისგან ჯერ არ მიუღია პასუხი არაბული ხელნაწერის "Prutum spirituale"-ის შესახებ. სთხოვს გაუგზავნოს გრიგოლი ნოსელის ბერძნული ტომების გამოცემასთან დაკავშირებით ხელნაწერის S 1141

(1r-59r) მიკროფილმი; ეკითხება, არის თუ არა გამოცემული ეს ტექსტი საქართველოში.

პირი: მ. შანიძე, ე. მეტრეველი.

ტოპონიმი: ფრაკფურტი, ლონდონი, გიოტინგენი, ჰაიდელბერგი, მაინცი.

1962 წ. 2 ნოემბერი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ახლავს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის ე. ბარნაველის თარგმანი რუსულ ენაზე, 3 ფ. 1 კ.

535. მადლობას უხდის კატალოგისა და წიგნის კორექტურისათვის; აცნობებს, რომ კ. კეკელიძის მიერ გამოცემული „წამება წმიდა სერგისა და ბაქოზის“ შეესატყვისება ლაიპციგის № 1094 ხელნაწერის ფრაგმენტებს; სწერს, რომ მისთვის შეუკვეთა ვატიკანში დაცული არაბული ხელნაწერის № 77 მიკროფილმი; სწერს, რომ თუ სურს კრუმბახერის განმეორებითი გამოცემა, მაშინ ეცდება წიგნის უცხოეთში მოპოვებას.

პირი: მოლიტორი, ჰ. ჰუნგერი, ჰ. გ. ბეკი.

1962 წ. 29 დეკემბერი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ახლავს თარგმანი რუსულ ენაზე, 2 ფ. 1 კ.

536. აცნობებს, რომ ვატიკანის პრეფექტი თანახმაა ი. აბულაძემ ისარგებლოს მათთან დაცული ტექსტებით; უგზავნის სომხური ხელნაწერების კატალოგს და ო. ბარდენჰევერის „ძველი საეკლესიო ლიტერატურის ისტორიას“; სთხოვს გაუგზავნოს S ფონდის № 1141 ხელნაწერი და გიორგი მთაწმინდელის თარგმანების მიკროფილმები; აცნობებს, რომ ქართული ხელნაწერების კატალოგს წლის ბოლოს გამოსცემს.

პირი: ვან ლანტშოტი, მოლიტორი, ლ. ხაჩიკიანი, ა. შანიძე.

ტოპონიმი: ერევანი, ვატიკანი.

1963 წ. 11 თებერვალი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

537. მადლობას უხდის ხელნაწერის S 1141 მიკროფილმის გაგზავნისთვის; აცნობებს, რომ მოკლე ხანში გამოიცემა გერმანიაში არსებული ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, რომლის ეგზემპლარს დაუყოვნებლივ მიაწვდის; სწერს, რომ მიიწვიეს პროფესორის თანამდებობაზე კალიფორნიისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში და მომავალშიც ელის მისგან დახმარებას.

ტოპონიმი: ვატიკანი.

1963 წ. 4 აპრილი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ. 1 კ.

538. მადლობას უხდის წიგნების გაგზავნისთვის; სთხოვს მიაწოდოს ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919-1920 წწ.“; აცნობებს, რომ მოკლე ხანში გაუგზავნის მის მიერ გამოცემული ქარ-

თული ხელნაწერების კატალოგის შესწორებებს; ატყობინებს, რომ მისი მოწაფე ა. ტანგე მუშაობს ქართულ ჰომილიებზე; სწერს, რომ მოლიტორთან ერთად გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს "Oriens Christianus".

ტოპონიმი: პორტუგალია

1964 წ. 13 მარტი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ახლავს რუსული მინანერი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

539. მადლობას უხდის წიგნების გაგზავნისთვის; აცნობებს, რომ მარტში აპირებს თბილისში ჩამოსვლას.

პირი: კ. შმიდტი

ტოპონიმი: ბაქო, ერევანი, მიუნსტერი.

1965 წ. 27 თებერვალი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

540. მადლობას უხდის ი. აბულაძეს, ე. მეტრეველს და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს მასპინძლობისთვის; ე. მეტრეველისა და ი. აბულაძის თხოვნით აპირებს გამოგზავნოს ნოველორდული ირმოლოგიონი; სთხოვს, რომ მიაწოდონ კ. ნ. შმიდტს „განმარტებითი ლექსიკონის“ რამდენიმე ტომი.

პირი: [ირაკლი შენგელია], [ჯუმბერ ოდიშელი], [კოშმიდერი].

ტოპონიმი: ატენი

1965 წ. 28 აპრილი, მიუნხენი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

541. მადლობას უხდის მიღებული წიგნებისთვის; სწერს, რომ მალე მიაწოდებს საჭირო გამოცემებს. უგზავნის ატენის ექსკურსიაზე გადაღებულ ხუთ ფოტოს.

პირი: ე. მეტრეველი, ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

1965 წ. 22 მაისი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

542. სთხოვს აცნობოს, გაუგზავნეს თუ არა წიგნები ცენტრალური ბიბლიოთეკიდან; სწერს, რომ მიაწოდებს ა. ბაუმშტარკის "Liturgie comparee"-ის მიკროფილმს; აინტერესებს, გაუგზავნა თუ არა ე. კოშმიდერმა ე. მეტრეველს წიგნები.

პირი: ე. მეტრეველი, ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

1965 წ. 29 ივლისი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

543. მადლობას უხდის მიღებული წიგნებისათვის; ეკითხება, მიიღო თუ არა მის მიერ გამოგზავნილი ო. ეისფელდის წიგნი; აგზავნის ა. ბაუმშტარკის წიგნს „Liturgie comparee“.

პირი: ე. მეტრეველი, ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

ტოპონიმი: თბილისი.

1965 წ. 27 აგვისტო, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

544. მადლობას უხდის წიგნების მიღებისათვის; წუხს, რომ დროულად ვერ მიაწოდა ე. მეტრეველს "Hirmologium Cryptense"; სთხოვს გაუგზავნონ სინა 81 ქართული ხელნაწერის აღწერილობის ფოტო.

პირი: კოშმიდერი, ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

1965 წ. 18 ოქტომბერი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ. 1 კ.

545. სწერს, რომ გენერალური ბიბლიოთეკის მისამართზე გაგზავნა წიგნი ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის, რომლის საფასურიც გერმანულმა სამეცნიერო საზოგადოებამ გადაიხადა; ატყობინებს, რომ ეცდება ე. მეტრეველისათვის იშოვოს ბიზანტიური მუსიკის სამცომეული ან მათი მიკროფილმი.

პირი: გიზელა ფონ ბუსე.

1965 წ. 25 ნოემბერი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

546. მადლობას უხდის მიკროფილმების მიღებისათვის; აცნობებს, რომ „გერმანიის მკვლევართა საზოგადოება“ ხელნაწერთა ინსტიტუტს გაუგზავნის ჟურნალ "Oriens Christianus" 1953 წლიდან გამოცემულ ნომრებს; სწერს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ჯერჯერობით არ მიუღია.

პირი: ე. მეტრეველი, ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

1966 წ. 22 მარტი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

547. მადლობას უხდის წერილისა და წიგნების მიღებისათვის; აცნობებს, რომ „გერმანიის მკვლევართა საზოგადოება“ მომავალშიც განაგრძობს ჟურნალ "Oriens Christianus" ნომრების ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გაგზავნას; ამავე დროს ეს საზოგადოება სთხოვს მიაწოდოს ხელნაწერთა ინსტიტუტის პუბლიკაციები, რომლის შესახებაც ის და პროფ. მოლიტორი გამოაქვეყნებენ ჟურნალში რეცენზიებს.

პირი: ი. შენგელია, ჯ. ოდიშელი.

1966 წ. 16 მაისი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

548. აცნობებს, რომ 1968 წელს აპირებს თბილისში ჩამოსვლას; მადლობას უხდის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემისა და კ. კეკელიძის

თხზულებათა II ტომის გაგზავნისთვის; აგრეთვე მადლობას უხდის ე. მეტრეველს გამოგზავნილი წიგნებისათვის; სწერს, რომ მონაწილეობას იღებს ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელი სემინარის მუშაობაში; დეკემბრის თვეში ჰამბურგში უნდა წაეკითხა მოხსენება საქართველოში მოგზაურობის შესახებ, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

1967 წ. 3 იანვარი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

549. მადლობას უხდის წიგნების გაგზავნისთვის; აცნობებს, რომ ბიზანტიურ ჟურნალში დაიბეჭდება მისი რეცენზიები ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა შემდეგ გამოცემებზე: ე. ცაგარეიშვილი – „იოანე დრასხანაკერტელი“, რ. გვარამია – „ალ-ბუსთანი“, მ. ქავთარია – „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“, ზ. ალექსიძე – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და ტოპონიმისათვის“.

პირი: ე. მეტრეველი.

1967 წ. 10 აპრილი, მიუნხენი გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ. 1 კ.

550. სწერს, რომ მიიღო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნები; დაინტერესებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების ზ. ალექსიძისა და გ. ჯანდიერის 1964 წლის ნაშრომებით.

